პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმომწერთა ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ხირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., ამოყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 18—80.

დღიური

— ტიურინგიაში და საქსონიაში (გერმანია) მწარმოებლები ითხოვენ 200.000 მუშას.
— აბდ-ელ-კერიმი უარს ამბობს ფრანგებთან მოლაპარაკებაზე.
— ინგლისელი ფეიქრები საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემას მოითხოვენ.
— სტამბოლში გაიფიცნენ მეზღვაურები.
— პოლონელ კომუნისტებს გიბნერს, კნიევსკის და რუტკოვსკის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

შაბათი, 22 აგვისტო 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 191 (1346)

ორი განცხადების გამო

ორივე გვქონდა მოთავსებული გაზეთის გუშინდელ №-ში. ერთი ეკუთვნის ინგლისის „მუშათა“ პარტიის მემარცხენე ლიდერს—კლაინსს, მეორე იმავე ინგლისის მუშათა კლასის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელს —კუკს. ღირს მათ გამოსვლაზე შეჩერება.

კლაინსის თქმით, მშრომელნი ინგლისში მონები კი არ არიან, არამედ თავისუფალი მოქალაქენი, რომელთაც არჩევნებში ეკუთვნით ხმების 90 პროცენტი და რომელთა ხელშია შესაძლებლობა შესცვალონ კანონები თავიანთი ინტერესების მიხედვით.

ამასვე ამბობდა მაკდონალდი, როცა იგი „წყალობითა ღვთისათა“ პრემიერის სავარძელში წამოსკუპდა. ამის გამო მან ხოტბა შეასხა ბრიტანეთის კონსტიტუციას, რომელიც თითქო იძლევა შესაძლებლობას—მუშებიდან გამოსული პირები გახდენ სახელმწიფოს ნამდვილ მესვეურებად. ამ „სოციალისტმა“ ჭკუა ვერ ისწავლა მაშინაც, როცა კაპიტალისტებმა იგი კინწის კვრით გააგდეს. ის ხომ კაპიტალისტების თანხმობით იქნა არჩეული, რათა გამოეყენებიათ გაჭირვების დროს და თავიანთი საქმე „მუშათა“ მთავრობის ხელით გაეკეთებიათ. რაკი ეს როლი მან შეასრულა, გარედ გამოუძახეს მთავრობის სასახლიდან და თვითონ ბურჟუაზიამ ისევ უშუალოდ ჩაავლო ხელი მართვა-გამგეობის საჭეს.

მაგრამ ამ გაკვეთილმა ტყუილ-უბრალოდ ჩაიარა ინგლისელ „სოციალისტებისათვის“. სხვათა შორის, ამას ადასტურებენ კლაინსის ზევით მოყვანილი სიტყვებიც. სასაცილოა და ამავე დროს დამაფიქრებელი კლაინსის ეს განცხადება, დამაღონებელი იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ასევე ფიქრობს [illegible] ინგლისის მუშათა კლასის საგრძნობი ნაწილი.

არსებითად შევეხოთ კლაინსების „ბრძნულ“ მოსაზრებას. მშრომელთა ხელშია თურმე შესაძლებლობა შესცვალონ კანონები თავისი ინტერესების მიხედვით. თუ ასეა, საკვირველია, რატომ არ სცვლიან ამ კანონებს, თუ ისინი იცავენ პროლეტარიატის ინტერესებს? არჩევნებში მშრომელთ ეკუთვნით ხმების 90 პროცენტი. რატომ აძლევენ ამ ხმებს ბურჟუაზიას და თვითონ არ ჩაუდგებიან ძალა-უფლებას სათავეში? ან შეიძლება ეს საჭირო არ არის და კონსერვატორები საუცხოვოდ ემსახურებიან მუშათა კლასის საქმეს, დღე და ღამე ფიქრობენ მის კეთილდღეობაზე?

მართლაც ახირებული მდგომარეობაა. მისი საიდუმლოება მარხია ე. წ. ფორმალური დემოკრატიის ბუნებაში. ინგლისელი მუშები თითქო მონები არ არიან, არამედ თავისუფალი მოქალაქენი. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ მოჩვენებაა. ნამდვილად ისინი სრული მონები არიან ერთი მუჭა კაპიტალისტების. უკანასკნელთა ხელშია მთელი ნივთიერი ძალა და იდეოლოგიურ გავლენის საშუალებანი (პრესა, სკოლა, ეკლესია და სხ.), რომელთა წყალობით ისინი გაბატონებული არიან პოლიტიკურადაც და სულიერ ტყვეობაში ჰყავს ინგლისის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა—მუშათა კლასი. ამიტომაცაა, რომ უკანასკნელი თავის ხმებს აძლევს თავის კლასობრივ მტრებს. იგი დაბრმავებულია ფორმალური დემოკრატიის ილიუზიებით, რომელთა დამსხვრევა ძირითადი პირობაა პროლეტარიატის განთავისუფლების.

კლაინსი ამბობს, რომ კომუნისტების ლაპარაკი აჯანყების შესახებ ძველი დროის მემკვიდრეობა არის და ასეთი ლაპარაკი უფრო გაგვართობს, ვიდრე შეგვაშინებსო. შემდეგ დასძენს: მშრომელებმა იციან, რომ კლასის დიქტატურა და რევოლიუციონური მოქმედების მეთოდი არა მარტო საზიანოა ერისათვის, არამედ დამღუპველია მისი დარიბი ნაწილისათვისო. უკეთეს აგენტს, ვინემ კლაინსია, ბურჟუაზია ვერ გამონახავდა. ინგლისში ხომ არსებობს კაპიტალისტების ნამდვილი დიქტატურა, დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული. ამაზე კლაინსი სდუმს, ხოლო რევოლიუციონური მოქმედების მეთოდი ხალხისათვის დამღუპველათ მიაჩნია. თუ როგორ „დამღუპველია“ ეს მეთოდი, ამაზე ინგლისის მუშებს ბევრ რამეს ეტყვის საბჭოთა კავშირის მაგალითი.

რაც შეეხება იმას, რომ აჯანყებაზე ლაპარაკი „გაართობს“ კლაინსებს, ვინემ შიშს მოჰგვრის, ისინი ალბად განზრახ ივიწყებენ თუ გინდ გუშინდელ ამბავს, რომელიც დატრიალდა ინგლისის ქვა-ნახშირის და სხვა დარგების მრეწველობაში, როცა მუშებმა შეკუმშული მუშტი უჩვენეს კაპიტალისტებს. ამ მუშტით გამოწვეული შიში ისეთი ძლიერი იყო, რომ კლაინსებსაც დააწყებინა ცახცახი და გაფიცვების მომხრეებად გამოაცხადებინა თავი. კიდევ ვინ იცის რას უმზადებს ახლო მომავალი „გართობის“ გუნებაზე დამდგარ ხალხს.

დღესდღეობით კი, როცა სოციალური კონფლიქტი დროებით მიწყნარდა ინგლისში, „ლიდერებმა“ იწყეს უკან დახევა და „ცოდვების“ მონანიება. ამის საუკეთესო ნიმუშს იძლევა კუკი. იგი სამთომადნო მუშების მეთაურია, მემარცხენე პოზიციაზე დგას ინგლისის მუშათა მოძრაობაში. უკანასკნელ კონფლიქტის დროს რევოლიუციაზე და შეიარაღებულ აჯანყებაზეც ჩამოაგდო სიტყვა. ახლა კი ის ბოდიშს იხდის ასეთი „გატაცებისათვის“ და ამბობს: „არასოდეს არ ვყოფილვარ და არც ვიქნები შეიარაღებულ აჯანყების მომხრე. სხვა საქმეა გაფიცვები გულზე დაკრეფილი ხელებითო“.

თუ ამას ამბობს მემარცხენე ლიდერი, რას იტყვიან ინგლისის პროლეტარიატის მემარჯვენე წარმომადგენლები, ეს ადვილი წარმოსადგენია.

თავის თავად ცხადია, რომ „გულზე ხელდაკრეფილი გაფიცვებით“ მუშათა კლასის მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება, მით უმეტეს ასეთი პოლიტიკით ზედმეტია ლაპარაკი კაპიტალის უღლის დამსხვრევაზე. ამაზე არც ოცნებობენ ბრიტანელი (და სხვა ქვეყნების) „სოციალისტები“.

მაგრამ ერთია მათი სურვილი, ხოლო მეორე—ცხოვრების განვითარება. სინამდვილემ კი ამ ბოლო დროს საკმაო საბუთი მოგვცა, რომ ინგლისის მუშათა კლასი ფრთებს შლის და აპირებს თავის ბედის გადაჭრას არა „გულზე ხელდაკრეფის“ პოლიტიკით, არამედ ისეთი გზით, რომელიც „გაართობს“ კლაინსებს,—აჯანყებით, რევოლიუციით.

მუშა-მოსამსახურეთა საქმეების გაჭიანურების შესახებ

რამოდენიმე დღის წინად „კომუნისტში“ მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „ერთი საქმის მოგზაურობა“. იქ ნაჩვენები იყო, თუ რამდენი ხანი გაგრძელდა ერთ მომუშავისათვის მის მიერ შესრულებულ სამუშაოს ხელფასის მიცემის საქმე.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქმეების ასეთი გაჭიანურება არ ამოიწურება ერთი და ორი შემთხვევით; მას ხშირი მოვლენა აქვს. უფრო სწორი იქნებოდა, რომ ხსენებულ წერილს სათაურათ ჰქონებოდა—„ბევრი საქმეების მოგზაურობა“. ვინც ახლო სდგას შრომის ორგანოებთან და გაცნობილია მათ ყოველდღიურ მუშაობას, ამის დამამტკიცებელ ფაქტებს ბლომად მოკრებს. ეს მდგომარეობა გვაიძულებს ერთხელ კიდევ შევჩერდეთ ამ საკითხზე.

აქ შეიძლებოდა ჩამოგვეთვალა მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებები, სადაც მუშა-მოსამსახურეთა კონფლიქტების გადაჭრა რამოდენიმე თვეები გრძელდება. არის შემთხვევები (და ბლომათაც), რომ არა თუ თვეები, არამედ ერთი წელიც არ ჰყოფნის საქმის გათავებას. ასეთი რამეები ხდება ფრიად ავტორიტეტულ დაწესებულებებში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ასობით ითვლება და სადაც ადმინისტრაციის განკარგულებაში იურისკონსულტებიც არიან, რაც გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, რომ მათ მიერ დაშვებული შეცდომები არ შეიძლება მივაწეროთ არსებულ კანონების და წესების უცოდინარობას. წვრილ წარმოება დაწესებულებაში, სადაც არ არის იურისკონსულტი ან სხვა პირი, რომელიც კარგად იყვეს გაცნობილი არსებულ წესებს, ადვილი შესაძლებელია შეცდომები შრომის საკითხის გადაჭრაში და ამის მიზეზით საქმის გაჭიანურება, მაგრამ როცა ეს ხდება მსხვილ წარმოება-დაწესებულებაში, ამის ბრალი უნდა დავსდოთ ადმინისტრაციის უაზრო ჯიუტობას, ბიუროკრატიზმს, მომუშავის წინააღმდეგ კერძო ინტერესების გასწორებას და სხვა.

კონფლიქტების გაჭიანურება ზრდის უკმაყოფილებას მუშა-მოსამსახურეთა და ადმინისტრაციას შორის,—ამბობს „ერთი საქმის მოგზაურობის“ ავტორი. ეს მართალია. მომუშავეთა უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების დროს არ უნდა ჰქონდეს ხშირი ადგილი. მაგრამ დაუშვათ ერთ წუთის, რომ მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დასაცავად ჩვენ არ ვზრუნავთ და არც მათი უკმაყოფილება გვაწუხებს არის თუ არა სხვა მოსაზრება,—რაც უნდა აიძულებდეს საბჭოთა ორგანოებს დროზე გაათავონ მუშა-მოსამსახურესთან კონფლიქტი? არის და საყურადღებოც. ეხება ის მატერიალურ მხარეს—ხარჯების ეკონომიას. რამდენადაც მეტი ხნით გაგრძელდება კონფლიქტი, იმდენათ მეტი თანხა დაუჯდება ეს წარმოება-დაწესებულებას.

რატომ იწვევს შრომის კონფლიქტების გაჭიანურება ხარჯებს? არსებული წესების თანახმად, მომუშავეს დათხოვნის დროს უფლება აქვს მიიღოს ხელფასი ფაქტიურად და საბოლოოდ გასწორების დღემდე. ადმინისტრაციას ეს ხშირად ავიწყდება. დათხოვის დროს მომუშავეს არ უსწორდებიან საბოლოოდ, ან გასწორების ანგარიში სადავოთ ხდება. ეს სადაო საქმე რამოდენიმე თვე დასეირნობს ადმინისტრაციიდან შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში, იქიდან შრომის ორგანოში, სასამართლოში, მუშა-გლეხთა ინსპექციაში, პროფესიონალურ კავშირში და სხ. მიწერ-მოწერა ერთმანეთს ემატება და უბრალო საქმე რამოდენიმე-ათეულ ფურცლამდე იზრდება. საქმის გათავების შემდეგ კი ადმინისტრაცია ვალდებული ხდება მისცეს მომუშავეს ხელფასი საბოლოო გასწორების დღემდე, რაც რამოდენიმე თვის და, ხანაც, მთელი წლის ხელფასს უდრის.

არის შემთხვევები, როცა წარმოება-დაწესებულება ხარჯების ეკონომიისათვის შტატებს ამცირებს და ითხოვს მომუშავეს. დათხოვნის დროს არ უსწორდება მთლიანად (ან არ აძლევს ორი კვირის გასასვლელ დახმარებას, ან შვებულების კომპენსაციას ან სხვა რამეს). ამის შესახებ კონფლიქტები გრძელდება რამდენიმე თვე. დათხოვნილი მომუშავე იგებს საქმეს და ის იღებს რაც ეკუთვნოდა დათხოვნის დროს და კიდევ იმდენი ხნის ხელფასს, რამდენი ხანიც გასტანა კონფლიქტმა. ამ რიგად სულ ტყუილ-უბრალოდ დაწესებულებამ გასწია ხარჯი. შტატის შემცირება მოახდინა ხარჯების ეკონომიისათვის, მაგრამ ადმინისტრატორის უხეირობის გამო გამოვიდა არა ეკონომია, არამედ გაფლანგვა (გაფ[illegible] დროს, როცა ადმინისტრაცია ტყუილად ჰყოფს მომუშავეს რამოდენიმე თვეების განმავლობაში შრომის ხელფასს აძლევს).

ორი კვირის წინად იყო ასეთი შემთხვევა: ერთი მსხვილი დაწესებულება ორასი მანეთის მაგივრად, რომელიც ერგებოდა დათხოვნილ მოსამსახურეს, იძულებული იყო გადაეხადა ორი ათასი მანეთი (ორი ათასი ორასის მაგივრად!) მხოლოდ იმიტომ, რომ დროზე არ გაათავა ადმინისტრაციამ კონფლიქტი და მოუხდა დათხოვნილ მოსამსახურის საბოლოოდ გასწორების დღემდე შრომის ხელფასით დაკმაყოფილება.

ასევე მოსდის ადმინისტრაციას, როცა ის შრომის საკითხების გადაწყვეტაში თავის „შთაგონებით“ მოქმედებს და არა არსებული წესებით. ავიღოთ, მაგალითად, მომუშავის უვარგისობის და მოვალეობის შეუსრულებლობისათვის დათხოვნა. შრომის კანონი ამბობს, რომ უვარგისობის და მოვალეობის სისტემატიური შეუსრულებლობის ფაქტი არ შეიძლება დამტკიცდეს მარტო ადმინისტრაციის მიერ. ამას უნდა ამტკიცებდეს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციის და მოსამსახურეთა პარიტეტულ ორგანოს. თუ ეს კომისია არ იცნობს მომუშავეს უვარგისად, იმ მისი დათხოვნა უკანონოდ ჩაითვლება. უნდა ითქვას, რომ ეს ძალიან კარგი წესია. აქ შეცდომას და საქმისადმი ცალმხრივად მიდგომას არ ექნება ადგილი. მაგრამ ზოგიერთ ადმინისტრატორებისათვის, გარდა მათი კაბინეტისა, არაფერი არ არსებობს. გვერდს უხვევენ და არ ცნობილობენ ზევით მოყვანილ დათხოვნის კანონიერ წესს. ითხოვენ მომუშავეს, როგორც უვარგისს, შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის დაუკითხავათ. იწყება კონფლიქტი რამოდენიმე თვე და ხშირად ერთ წელზედ მეტიც უნდება საქმის გათავებას. ბოლოს და ბოლოს საქმე თავდება მომუშავის სასარგებლოდ. როგორც უკანონოდ დათხოვნილს, ადმინისტრაცია ხდება ვალდებულად გაცდენილი თვეების სრული ჯამაგირი მისცეს უკანვე დაბრუნებულ მომუშავეს. ამ ხარჯის გაწევა ადმინისტრაციას არ მოუვიდოდა, რომ მას თავიდანვე მომუშავის უვარგისობა და დავალების სისტემატიურად შეუსრულებლობა დაემტკიცებინა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში. თუ მომუშავე მართლა უვარგისია, არასოდეს პროფესიონალური კავშირი და მუშათა კომიტეტის წარმომადგენელი მისი დათხოვნის წინააღმდეგ არ წავა. პირიქით, პროფესიონალური კავშირი დაინტერესებულია შრომის ნაყოფიერების აწევაში და უვარგის მომუშავეთა დათხოვნას ის ყოველთვის დაუჭერს მხარს და საერთოდ დახმარებას გაუწევს ადმინისტრაციას საუკეთესო მუშაკების შერჩევის და შრომის გაჯანსაღების საქმეში.*)

ამ რიგად ზოგიერთ საბჭოთა წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციის უხეირობით, ბიუროკრატიული მოქცევით და უაზრო ჯიუტობით, გაჭიანურებული შრომის კონფლიქტის გამო, სახელმწიფოს აწვება ხარჯები. თუმცა ცალ-ცალკე ამ ხარჯების რაოდენობა დიდი არ იქნება, მაგრამ ერთად შეერთებული საგრძნობელ თანხას შეადგენს. ამიტომ უნდა იქნეს მიღებული ზომები ასეთი ხარჯების მოსასპობად. ეს კი ადვილია, თუ კი რიგზე გამოვიყენებთ არსებულ კანონმდებლობას. ჩვენი სამოქალაქო კოდექსი გვაძლევს ამის საშუალებას. იქ არის მუხლი, რომელიც ამბობს: „დაწესებულება პასუხს აგებს თანამდებობის პირის არა სწორი სამსახურეობრივი მოქმედებით მიყენებული მავნებლობისათვის მხოლოდ [illegible] ცალკე აღნიშნულ შემთხვევაში, უკეთუ, ამასთანავე, თანამდებობის პირის მოქმედების არა სისწორეს სცნობს სათანადო სასამართლო ან ადმინისტრატიული ორგანო. დაწესებულება განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, უკეთუ დაზარალებულმა თავის დროზე არ განასაჩივრა არა სწორი მოქმედება. დაწესებულებას თავის მხრით უფლება აქვს დაზარალებული პირისათვის მიცემული საზღაური დაადოს თანამდებობის პირს“.

ამ მუხლის უკანასკნელი ნაწილი პირდაპირ გვაძლევს უფლებას, რომ იმ შემთხვევაში, როცა მუშა-მოსამსახურის საქმე ჭიანურდება და ამის მიზეზი არის დაწესებულების თანამდებობის პირი, ამ გაჭიანურებასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გადაიხადოს არა დაწესებულებამ, არამედ ამ თანამდებობის პირმა. საჭიროა ეს მუხლი პრაქტიკაში ფართოდ გამოვიყენოთ და ამით ავაცილოთ სახელმწიფოს ის ხარჯები, რომელიც გამოწვეულია ზოგიერთ ადმინისტრატორების უხეირობისა და ბიუროკრატიულ მოქმედების გამო. როცა ასეთ პირებს პირადათ მოუხდებათ მატერიალური პასუხისმგებლობა თავის მოქმედებისათვის, ისინი ეცდებიან მუშა-მოსამსახურეთა კონფლიქტები დროზე გაათავონ.

გოდაბრელიძე.

---

*) ჩვენ [illegible], რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ექნება საქმისადმი არა სწორ მიდგომას აქ დასახელებულ ორგანოების მხრითაც. მაგრამ ამან არ უნდა შეაფერხოს კონფლიქტის დაჩქარებით და საბოლოოდ გადაჭრა სათანადო ინსტანციაში.

რედ.

ბრძოლა

პროფმოხელეობის წინააღმდეგ

ჩვენ დიდხანს ბევრს ვლაპარაკობთ მუშაობის გამოცოცხლებაზე პროფორგანიზაციებში. მუშების აქტიური ჩაბმა პროფმოძრაობაში, პროფორგანოების არჩევნების თავისუფლების სრული უზრუნველყოფა, მუშების სულიერ განწყობილებისათვის ალღოს ალება, მათი ინტერესების და კანონიერ მოთხოვნილებათა დროზე დაცვა-დაკმაყოფილება, პროფმუშაკების მხრით საკავშირო მასსასთან მჭიდრო და ცოცხალი კავშირის გაბმა,—ეი საითკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ყურადღება.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ კერძოდ პროფორგანოებში არჩეული პირები ხშირად სწყდებიან იმ მუშათა მასსებს და წარმოებებს, საიდანაც ისინი არიან გაყვანილი. გადიყვანენ რა საკავშირო ორგანოებში სამუშაოთ, არჩეული ამხანაგები იკარგებიან ამა თუ იმ ქარხნისა თუ რაიონისათვის—იმ აზრით, რომ თითქმის არასოდეს არ უბრუნდებიან თავის წინანდელ მდგომარეობას, რაც ხელს უწყობს პროფმუშაკების გათიშვას მასსებიდან და პროფმოხელეობის განვითარებას.

ამის გამო ამხ. მ. მელნიჩანსკი გაზ. „ტრუდ“-ში შემდეგ წინადადებას იძლევა:

„უნდა დავიწყოთ ასეთი პრაქტიკის გატარება: თუ ქარხკომის, გუბგანყოფილების, გუბპროფსაბჭოს ან ც. კ.-ის წევრი არ იქნა მეორე ყრილობაზე ხელმეორედ არჩეული, ის უნდა დაბრუნდეს უკან იმ რაიონში, ქარხანაში თუ დაწესებულებაში, საიდანაც იქნა არჩეული. ეს გააძლიერებს პასუხისმგებლობას და მუშათა მასსასთან დაკავშირების გრძნობას და იქმნება ბრძოლის [illegible] პროფმოხელეობის კადრის შექმნის წინააღმდეგ. ზედა ორგანიზაციაში რამოდენიმე ხნის მუშაობის შემდეგ, თუ იგი აღმოჩნდა იქ არა თავის ადგილას და თუ გამოიყვანენ ახალი უფრო ცოცხალი და ძლიერი მუშაკები, ძირეულ ორგანიზაციაში დაბრუნებისას, მოუტანს მას მნიშვნელოვან სარგებლობას, მუშაობაში მიღებულ გამოცდილების წყალობით“.

ამხ. მელნიჩანსკი იხსენებს ინგლისში არსებულ პრაქტიკას. იქ თუ რომელიმე პროფმუშაკს ხელმეორედ არ აირჩევენ და მას არ სურს დაკარგოს შესაძლებლობა არჩეულ იქნეს შემდეგ ყრილობაზე,—არ შეუძლია სხვა სამუშაოზე წავიდეს ამ კავშირის გარეშე, არამედ დაზგას უნდა დაუბრუნდეს. ასე, მაგ., ცნობილი პროფესიული და პოლიტიკური მუშაკები—პერსელი და პოლიტი, როცა ვერ გაიყვანეს პროფორგანოში, ამ წელს უნდა დაბრუნებულიყვნენ წარმოებაში.

ამხ. მელნიჩანსკი ასკვნის:

„ზედმეტი არ იქნებოდა, როგორც წესი, დადგენილებით ასეთივე წესი შემოგვეღო.

რათა მუშაკები არ სწყდებოდნენ მუშათა მასსას, გრძნობდნენ მის პულსისცემას და არ იქცეოდნენ მოხელეებად,—აუცილებელია დროგამოშვებით მათი დაბრუნება იმ გარემოში, საიდანაც გამოვიდნენ“.

უეჭველად მისაღებია წინადადება. ამასთან საჭიროა, რომ პროფორგანოები ნაწილობრივ ივსებოდენ ახალ-ახალი ძალებით და არა ერთი და იმავე პირები ისხდენ იქ წლების განმავლობაში. ამით შეიქმნება პროფმუშაკების ახალი კადრი და ბიუროკრატიზმს, მოხელეობას პროფორგანიზაციებში ნიადაგი გამოეცლება.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ცილისწამებისა და ჭორების კამპანია საბჭ. კავშირის წინააღმდეგ გრძელდება

ინგლისის პრესა აქვეყნებს ახალ ყალბ დოკუმენტებს „საბჭოთა პროპაგანდის“ შესახებ

სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან ფართოვდება

სამხრეთ-აფრიკაში შესყიდული იქნება ყოველწლიურად 100.000 მანეთის ბამბა.—საბჭოთა კავშირიდან იტალიაში გადატანილი იქნება 31.200.000 ფუთი ნახშირი.—საბჭოთა ნავთი უდიდეს კონკურენციას უწევს ინგლის-ამერიკის ნავთს ოსმალეთის ბაზარზე.

ყალბი დოკუმენტების ფაბრიკა განაგრძობს მუშაობას

4 ახალი ყალბი დოკუმენტი

პეკინი, 20 აგვისტო. დოსსერის შესახებ ყალბ დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ, ინგლისის ხელისუფლებამ შანხაიში გადასწყვიტა მიემართა ყალბი დოკუმენტებისათვის უფრო ფართო მასშტაბით. ყველაზე რეაქციონურმა ინგლისურმა ორგანომ „ნორდჩაინა დეილი ნიუსმა“ გამოაქვეყნა ერთბაშად 4 ყალბი დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს, თითქო საბჭოთა საელჩო შანხაიში ხელმძღვანელობს მთელ მოძრაობას.

„დოკუმენტი“ პირველი.

პირველი დოკუმენტი, ვითომდა, შეიცავს ინსტრუქციას, რომელსაც კარახანი 7 ივლისის თარიღით უგზავნის საბჭოთა საკონსულოს მდივანს ჩერკასოვს. ამ ინსტრუქციაში ჩერკასოვს წინადადება ეძლევა „შეადგინოს ჩინელ სტუდენტთა და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა სპეციალური კომიტეტი თეთრ შტრეიკ-ბრეხერების წინააღმდეგ საბრძოლველად“.

ინსტრუქცია წინადადებას აძლევს მას შეიმუშაოს ვრცელი გეგმა. ამასთანავე ინსტრუქციაში კარახანი პირდება საჭირო თანხებს. ამ დოკუმენტის შესახებ საკმარისია ითქვას, [illegible] ჩერკასოვი [illegible] მოსკოვში ჯერ კიდევ მაისში იმყოფებოდა.

„დოკუმენტი“ მეორე.

მეორე დოკუმენტი წარმოადგენს, იმ კრების ოქმს, რომელიც ვითომდა გაიმართა 29 ივნისს სტუდენტთა კავშირის შენობაში საბჭოთა კავშირის საკონსულოს წარმომადგენლის გოლიანოვსკის მონაწილეობით (უკანასკნელი იყო უბრალო თანამშრომელი, რომელიც მაშინ დათხოვნილი იყო საელჩოდან). ოქმის თანახმად კრებაზე დადგენილი იქნა მოეწყოს განსაკუთრებული საიდუმლო პოლიტიკური სააგენტო, რომელიც თვალყურს უნდა ადევნებდეს ევროპიელების სამსახურში მყოფ საიდუმლო აგენტებს და გარდა ამისა მიმართავდეს ტერორს.

„დოკუმენტი“ მესამე.

მესამე დოკუმენტი—„მოსკოვის აღმასკომის მე-12 პოლიტიკურ განყოფილების წერილი“, რომელიც წინადადებას იძლევა „მოეწყოს განსაკუთრებული მოძრავი უჯრედები ჩინეთის ნავთსადგურებში მყოფ უცხოელთა სამხედრო გემებზე აგიტაციის და პროპაგანდის საწარმოებლათ“.

„დოკუმენტი“ მეოთხე.

მეოთხე დოკუმენტი წარმოადგენს აგრეთვე მოსკოვიდან მიღებულ ინსტრუქციას, რომელიც წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ შეუდგენ ადგილობრივ კომუნისტურ კომიტეტების მოწყობას, ცაკის მიერ დასახელებულ ფუნქტებში.

თუ მივიღებთ მხედველობაში [illegible] გამოშვებულ დოკუმენტების რიცხვს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ცალობრივი სა[illegible] უკვე აღარ აკმაყოფილებს ამ „დოკუმენტების“ ფაბრიკანტებს.

ამხ. ჩერკასოვის განცხადება

მოსკოვი, 21 აგვისტო. შანხაიში საბჭოთა საკონსულოს ყოფ. მდივანი ამხ. ჩერკასოვი ამჟამად მოსკოვში იმყოფება. შანხაის გაზეთებში გამოქვეყნებულ მორიგ სიყალბეების გამო მან განაცხადა, რომ 7 ივლისს ის უკვე მოსკოვში იმყოფებოდა და [illegible] მას არავითარი ინსტრუქციის მიღება აღარ შეეძლო ამხ. კარახანისაგან.

ერთ-ერთ ყალბ საბუთში მოხსენებული საელჩოს სამხედ. ნაწილის ყოფ. გამგე გოლიანოვსკი მეტად უფრო ადრე იყო დათხოვნილი, ვიდრე იმას აწერენ მონაწილეობის მიღებას სტუდენტთა კავშირის კრებაზე.

სტრიცევსკის და გრებნერს კი საელჩოსთან საერთო არაფერი ჰქონიათ, რადგან პირველი ითვლებოდა სავაჭ. წარ. აგენტათ და მეორე კი სანაოსნო საზ. თანამშრომლათ.

გიბნერს, კნიევსკის და რუტკოვსკის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს

ვარშავა, 20 აგვ. საველე სასამართლომ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა გიბნერს, კნიევსკის და რუტკოვსკის. დამცველები სცდილობენ სასჯელის შემსუბუქებას.

პროფსაბჭოს პროტესტი.

ლონდონი, 20 აგვისტო. პერსელმა ინახულა პოლონეთის მისია ლონდონში და ინგლისის პროფესიონალურ მოძრაობის სახელით განაცხადა, რომ გიბნერის, კნიევსკის და რუტკოვსკის პროცესი აღშფოთებას იწვევს ინგლისის ორგანიზებულ მუშებს შორის, ვინაიდან პოლონეთის მთავრობამ მიმართა პროვოკაციულ ზომას, გადასცა რა საქმე არა სამოქალაქო, არამედ საგანგებო სასამართლოს.

მისიის თავმჯდომარემ აღუთქვა პერსელს, რომ ის გადასცემს ამ განცხადებას პოლონეთის მთავრობას.

განაჩენი სისრულეში მოიყვანეს

ვარშავა, 20 აგვისტო. სიკვდილით დასჯის განაჩენი, რომელიც გამოუტანა გიბნერს, რუტკოვსკის და კნიევსკის ვარშავის სამხედრო-საველე სასამართლომ, სისრულეში მოიყვანეს 21 აგვისტოს ვარშავის ციხეში.

გერმანია და მოკავშირეები

„ტანი“-ს რჩევა

პარიჟი, 20 აგვისტო. გაზეთი „ტანი“ განაგრძობს კამპანიის საგარანტიო ხელშეკრულების დადებისათვის და ხაზს უსვამს იმ სარგებლიანობას, რომელსაც გერმანია მიიღებს ერთა ლიგაში შესვლით. გაზეთი აყენებს კითხვას: საბჭოთა კავშირის მიმართ წარმოებული პოლიტიკა უშლის თუ არა ხელს გერმანიას მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ერთა ლიგის საკითხში.

საფრანგეთის პასუხი მოიწონეს

პარიჟი, 20 აგვისტო. იტალიის და ბელგიის მთავრობებმა მოიწონეს საფრანგეთის პასუხის პროექტი გერმანიის ნოტაზე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ. ნოტა ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული.

მოკავშირეთა ვალების საკითხი

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. ნახევრად ოფიციალურ საუბარში ამერიკის საგარეო ვალების საქმეთა კომისიის წევრები ხაზს უსვამენ, რომ სხვა ქვეყნები არ უნდა ელოდენ ვითომ ამერიკა უარს იტყვის პროცენტების მიღებაზე, როგორც ეს ჩაიდინა მან ბელგიის მიმართ. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ, თუმცა ამერიკას ვერსალის ხელშეკრულებით არავითარი ვალდებულება არ მიუღია თავის თავზე, ამერიკის მთავრობა მაინც აღიარებს თავის „სერიოზულ მორალურ მოვალეობას“ ბელგიის მიმართ, ვილსონის მიერ განსაზღვრულ დაპირებების მიცემის გამო. ამ ვალდებულებათა შეგნებამ აიძულა ამერიკა გაენთავისუფლებია ბელგია იმ სესხის პროცენტების გადახდისაგან, რომელიც ბელგიამ მიიღო დროებითი ზავის ჩამოგდებამდე.

200000 კაცი ქუჩაში

ბერლინი 20 აგვისტო. დასავლეთ-საქსონიის და ტიურინგიის საფეიქრო რაიონის მწარმოებლებმა მუშებს მისცეს გაფრთხილება, რომ 5 სექტემბრიდან ლოკაუტი იქნება გამოცხადებული 200 ათას ფეიქარს. წარმოებათა დახურვის მწარმოებლები ასაბუთებენ მით, რომ ფეიქართა კავშირმა გამოაცხადა გაფიცვა სართავ ფაბრიკებში.

„ტაიმს“-ის „აღშფოთება“

ლონდონი, 20 აგვისტო. „ტაიმსი“ ათავსებს ამონაწერებს პოლიტ-ცოდნის კურსიდან და უწოდებს მას „კომუნისტურ კატეხიზისს“. მოყვანილი ადგილები შეეხება დიქტატურის, პროფკავშირებში მუშაობის, კომინტერნის ახალი ტაქტიკის საკითხებს. მოწინავე წერილში გაზეთი სწერს: „კომუნისტები ლაპარაკობენ თავის მიზნებზე და მეთოდებზე უპრინციპო გულწრფელობით“.

ინგლისი

მაინც წავიდნენ დათმობაზე.

ლონდონი. 20 აგვისტო. საბჭოთა წარმოების წარმომადგენლები იუწყებიან, რომ საფეიქრო მანქანების შესახებ წარმოებული მოლაპარაკება ლანკაშირის მწარმოებლებთან შესწყდა, რადგან მათ უარჰყვეს საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილი პირობანი.

საბჭ. საფეიქრო მრეწველობისათვის კრედიტების მიცემას მოითხოვენ.

ლონდონი, 20 აგვისტო. ფეიქართა პროფკავშირის მდივანმა მანჩესტერში და [illegible] მხარი დაუჭირეს საბჭოთა საფეიქრო მრეწველობისათვის კრედიტების მიცემას იმ მიზნით, რათა განაწილებული იქნას შეკვეთები ლანკაშირის საფეიქრო ფაბრიკებში. ინგლისის საფეიქრო მრეწველობის მუშათა კავშირის მდივანი ზეგიცი აგრეთვე მხურვალეთ უჭერს მხარს ასეთს ზომას.

იტალია

საბჭოთა ნახშირი მოიწონეს

ხარკოვი, 21 აგვისტო. საბჭოთა ნახშირის ექსპორტი იტალიაში ფართოვდება. ამჟამად საბჭოთა ნახშირმა მოიპოვა მტკიცე მდგომარეობა იტალიის ბაზარზე. ნახშირის გამოცდამ იტალიის 178 ფაბრიკა-ქარხანაში დაამტკიცა დონეცის სათბობი მასალის მაღალი ღირსება. იტალიის სინდიკატ „ჩიზესთან“ დადებულ ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირმა უნდა მიაწოდოს იტალიას 520.000 ტონა ნახშირი.

ოსმალეთი

საბჭოთა კავშირის ნავთი ოსმალეთის ბაზარზე.

სტამბოლი, 20 აგვისტო. ოსმალეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის ნავთს დიდი გასავალი აქვს ოსმალეთში. მოსახლეობამ თავისუფლად ამოისუნთქა მას შემდეგ, რაც უცხოეთის ბაზარზე გატანილი იქნა საბჭოთა ნავთი, რომელმაც მოსპო ინგლის-ამერიკულ კომპანიის „სტანდარტ ოილის“ მონოპოლია.

ჩინეთი

საბჭოთა მფრინავები შანხაიში

პეკინი, 20 აგვისტო. შანხაიში ჩავიდა საბჭოთა საჰაერო-ექსპედიციის ერთი ნაწილი ორი ჰაეროპლანის შემადგენლობით, ექსპედიციის უფროსის შმიდტის მეთაურობით. საბჭოთა აპარატებმა ბრწყინვალეთ დაასრულეს მოგზაურობა მოსკოვიდან შანხაიმდე 10.000 კილომეტრის მანძილზე.

სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის გამგეობა შეშფოთებულია.

ტოკიო, 20 აგვისტო. ამერიკელ გაზეთ „ჯაპან ადვერტაიზერის“ ცნობით, სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის სამმართველო შეშფოთებულია ხმებით, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საქმეთა მმართველი აწარმოებს მოლაპარაკებას პეკინის მთავრობასთან ციციკარიდან ხეისომდე რკინის გზის გაყვანის შესახებ. სამხრეთ მანჯურიის რკინის-გზის ინიციატორებს ეშინიათ, რომ ამ პროექტის განხორციელება აზრს დაუკარგავს ჩან-ძო-ლინისაგან ამას წინად მიღებულ თანხმობას ტაონან-ციციკარის რკ. გზის გაყვანაზე.

საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წევრები ტოკიოში აცხადებენ, რომ მათ ამის შესახებ არაფერი არ იციან, მაგრამ შესაძლებლად სთვლიან ასეთ პროექტს.

სამხრეთ-აფრიკა

ბამბის შესყიდვა

[illegible], 20 აგვისტო. [illegible] (სამხრეთ-აფრიკა) მიღებულ ცნობით, საბჭოთა მთავრობამ აცნობა სამხრეთ-აფრიკის სავაჭრო აგენტს ევროპაში პიერსს, რომ მას შეუძლია ყოველწლიურად შეისყიდოს 10 მილიონი გირვ. სტერლინგის წმინდა ბეწვიანი მატყლი. საბჭოთა მთავრობა მზადაა დასდოს ხელშეკრულება 4 მილიონი გირვ. სტერლინგის ვალუტით იმ პირობით, თუ მას მისცემენ 6 თვის კრედიტს.

მდგომარეობა ინგლისის ნახშირის მრეწველობაში

სამთო-მადნო მუშათა კონფერენციის დადგენილება

ლონდონი, 20 აგვისტო. სამთო-მადნო მუშათა ფედერაციის დელეგატების კონფერენციამ დაადასტურა მიიღოს პირობები, რომლის თანახმად მაღაროების მეპატრონეთა გაფრთხილება ხელფასის შემცირების შესახებ უკან იქნა წაღებული. ამასთანავე კონფერენციამ წინადადება მისცა წარმომადგენლებს ადგილებზე, გადასდგან ნაბიჯები სათანადო განმარტებათა წარსადგენათ იმ კომისიისათვის, რომელიც გამოარკვევს სამთო-მადნო მრეწველობის მდგომარეობას.

სამთო-მადნო—მრეწველობის გამოკვლევის ხარჯები

ლონდონი, 20 აგვისტო. სამთო-მადნო მუშათა ფედერაციის დელეგატთა კონფერენციამ მიიღო ცნობა, რომ მთავრობამ დანიშნა კომისია ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამოსარკვევად. ეს კომისია გამოარკვევს იმ გარემოებას, რომელიც ხელს უშლის სამთო-მადნო მრეწველობის განვითარებას და აგრეთვე გაითვალისწინებს ზომებს ამ მრეწველობის გასაუმჯობესებლად.

კონფერენციამ მადლობა გადაუხადა რკინისგზელებს და ტრანსპორტის მუშებს სამთო-მადნო მუშებისათვის უკანასკნელ კრიზისის დროს გაწეულ დახმარებისათვის.

აზიის მუშათა ყრილობის მოწვევის პროექტი

ტოკიო, 20 აგვ. გაზ. „ძი-ძის“ შანხაელ კორესპონდენტის ცნობით, ჩინეთის მუშების ლიდერები და აგრეთვე იაპონელი კაპიტალისტები შანხაიში ილაშქრებენ ბუნძი-სუზუკის პროექტის წინააღმდეგ მომავალ წელს მთელი აზიის მუშათა კონფერენციის მოწვევის შესახებ. უკანასკნელების აზრით, დასავლეთის კაპიტალისტებიც უნდა იქნან მოწვეულნი, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში შრომის პრობლემის გადაწყვეტა ჩინეთში შეუძლებელი იქნება.

ასეთი კონფერენციის მოწვევის პროექტი, რომელიც წარადგინა იაპონიის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ ბუნძი-სუზუკიმ, იაპონელმა გომპერსმა, მიზნად ისახავს აზიის მუშათა ერთგვარ ინტერნაციონალის შექმნას. ასეთი იდეა ბუნძი-სუზუკის დაებადა ჟენევაში მოწვეულ შრომის საერთაშორისო კონფერენციის შემდეგ. ამ კონფერენციაზე ბუნძი-სუზუკის იმედი გაუცრუვდა თეთრი მუშების ლიდერების მიმართ. გაზეთების სიტყვით ბუნძი-სუზუკის აშინებს, რომ განზრახულ კონფერენციას კომუნისტები გამოიყენებენ.

აღმოსავლეთი

სირია

დრუზების მოთხოვნილება.

სტამბოლი, 20 აგვისტო. ადანიდან მიღებულ ცნობის თანახმად მეამბოხე დრუზებმა წარუდგინეს ფრანგებს შემდეგი მოთხოვნილებანი: ჯებელ-დრუზის (სირიის პროვინცია) დამოუკიდებლობის აღიარება, საფრანგეთის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების გაყვანა, საფრანგეთის ჯარების მიერ მიყენებულ ზარალის ანაზღაურება.

ირაკი

ოსმალეთის დელეგაცია.

სტამბოლი, 20 აგვისტო. ერთა ლიგის სესიაზე მიემგზავრება ოსმალეთის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის თავმჯდომარე—ტევფიკ ფაშა, წევრები: ოსმალეთის ელჩი ბერნში მუნირ ბეი და ბელგრადში ხიკმეტი, დელეგაციის მრჩეველი—ჯავატ ფაშა.

ოსმალურ გაზეთის წერილი.

სტამბოლი, 20 აგვისტო. გაზეთი „ხაკიმიეტ-მილლიე“ ბრალს სდებს კომისიის წევრებს მოსულის რაიონის საკითხების შესახებ, რომ ისინი მიუდგომლობას იჩენენ. გაზეთი ხაზს უსვამს იმას, რომ კომისიის წევრები ამჯობინებენ დასტოვონ რაიონი ინგლისელების ბატონობის ქვეშ, ვიდრე დააკმაყოფილონ მცხოვრებთა სამართლიანი მოთხოვნილებანი.

განმანთავისუფლებელი ბრძოლა ჩინეთში

ჩინეთის მთავრობა იწვევს საბაჟო კონფერენციას

გომინდანი მოითხოვს სრულიად ჩინეთის კონფერენციის მოწვევას

შანხაელ ფოსტა-ტელეგრაფ. მოსამსახურეთა გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა

ჩინეთის მთავრობა უარს ამბობს იაპონელ მრეწველთა პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე.

კონტრ-რევოლიუცია ემზადება

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი, 21 აგვ. ასეთი სათაურით „პრავდა" ათავსებს მოწინავე წერილს, რომელშიაც სწერს:

უკანასკნელ ხანებში ჩინეთში ადგილი ჰქონდა კონტრ-რევოლიუციის ძალების გაძლიერებულ მობილიზაციას. ის იყო რეაქცია უკან იხევდა რევოლიუციონურ ტალღის აზვირთების წინაშე, მაგრამ ამ ჟამად მან ისევ წამოყო თავი.

ტიან-ძინში მომხდარ სისხლის ღვრის გმირის, ჯალათის ლი-ჩჟინ-ლინის საქციელი, როგორც ჩვენ ამას ვწინასწარმეტყველებდით, სავსებით მოწონებულია იმპერიალისტების მიერ. და ეხლა, როდესაც მოშინჯეს ნიადაგი, კონტრ-რევოლიუციონური ძალები ფიქრობენ ჩინეთის რევოლიუციის უდიდესი კერის—კანტონის მოსპობას. რეაქციის გეგმის თანახმად, ამჟამად ალყას არტყამენ განმანთავისუფლებელ ბრძოლის ციხე-სიმაგრეს. ჩინეთის ბურჟუაზიის მერყევ ელემენტების გადაბირების მიზნით, კონტრ-რევოლიუცია მიმართავს ყოველგვარ ჰორებს და ცდილობს ხალხს თავი მოაჩვენოს თავდამცველ მხარედ. „რეაქციის" სააგენტოს ჯერ კიდევ შეუმოწმებელი ცნობების თანახმად, ვითომდა კანტონის მთავრობის მიერ უცხოელთა ნაოსნობის უფლებების დარღვევის გამო, იმპერიალისტები აპირობენ „სასწრაფო ზომების" მიღებას კანტონის წინააღმდეგ. ამგვარად იმპერიალისტური მტაცებლები სრულიად აშკარად აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან დახმარება გაუწიონ ჩჟან-ძო-ლინის გენერლებს.

უცხოელთა ინტერვენცია რეალურ ფაქტად იქცევა".

საბაჟო კონფერენცია

პეკინი, 20 აგვისტო. ჩინეთის მთავრობამ დაინტერესებულ სახელმწიფოებს დაუგზავნა ოფიციალური მოპატიჟება დაესწრონ საბაჟო კონფერენციას, რომელიც გაიმართება პეკინში 26 ოქტომბერს. მიპატიჟებაში სახელმწიფოებს ეძლევათ აგრეთვე წინადადება წამოაყენონ საკითხი ჩინეთისათვის სრული სატარიფო დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ და მოხსნან ის შეზღუდვანი, რომელიც ჩინეთზე იყო გავრცელებული.

შანხაის ფოსტის მოსამსახურეთა გამარჯვება

პეკინი, 20 აგვისტო, დამთავრდა შანხაის ფოსტის მოსამსახურეთა გაფიცვა. ხელისუფლება დასთანხმდა ხელფასის გადიდებაზე და ფოსტის მოსამსახურეთა პროფკავშირის ცნობაზე. დანარჩენი სადაო საკითხები მოწესრიგებული იქნება პეკინის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შემდეგ.

იაპონიის მოთხოვნილებათა საპასუხოთ

პეკინი, 20 აგვისტო. იაპონიამ მოითხოვა ანაზღაურება იმ ზარალისა, რომელიც ჩინეთის მუშებმა მიაყენეს საფეიქრო ფაბრიკას ტიან-ძინში. ამ მოთხოვნილების პასუხად ჩინეთის ხელისუფლება უარს ამბობს ამ ფაბრიკის იაპონიის საკუთრებად აღიარებაზე, რადგან აღნიშნული წარმოება მუშაობს ჩინეთის სახელით და არ მოიპოვება ოფიციალური ოქმი იმისა, რომ ეს ფაბრიკა იაპონელებს ეკუთვნის.

გომინდანის აღმასკომის ინსტრუქციები

პეკინი, 20 აგვისტო. კანტონიდან მიღებულ დეპეშებში მოყვანილია გომინდანის აღმასკომის ინსტრუქციები, რომელიც მოითხოვს სრულიად ჩინეთის კონფერენციის მოწვევას და აცხადებს, რომ დღევანდელ კრიტიკულ მომენტში მთელი ერის თანხმობა აუცილებელია ჩინეთის საგარეო პოლიტიკის განმტკიცებისათვის.

ამერიკის მიწვევა საბაჟო კონფერენციაზე

ნიუ-იორკი, 20 აგვისტო. ჩინეთის ელჩმა გადასცა ამერიკის დეპარტამენტს საბაჟო კონფერენციაზე მიპატიჟების ბარათი. მიპატიჟების ტექსტი ჯერ გამოქვეყნებული არ არის, მაგრამ არსებული ცნობების თანახმად, ჩინეთის ნოტაში ნათქვამია, რომ ჩინეთის მთავრობას განზრახული აქვს მოითხოვოს ჩინეთისათვის დამოუკიდებლობა საბაჟო პოლიტიკაში. ამერიკის ელჩი ჩინეთში მაკ-მურრეი სატარიფო საქმეთა ამერიკელ ექსპერტ სტრონთან ერთად ეთათბირა კელლოგს იმ პოზიციის შესახებ, რომელსაც ამერიკა დაიკავებს მომავალ კონფერენციაზე.

ჩან-ძო-ლინის დამხმარე ძალები

პეკინი, 20 აგვისტო. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ჩან-ძო-ლინმა მიიღო 40.000 თოფი და ტყვიისმფრქვეველების და სხვა სამხედრო იარაღის დიდი პარტია. ფიქრობენ, რომ ჩან-ძო-ლინი მონღოლეთიდან პეკინში გაგზავნის ახალ ჯარებს.

მდგომარეობა ჩინეთში სერიოზულია

პეკინი, 20 აგვისტო. იტყობინებიან, რომ უცხო სახელმწიფოების მისიები მდგომარეობას ჩინეთში სერიოზულათ სთვლიან და იწვევენ თათბირს სამხედრო და პოლიტიკურ პერსპექტივების განსახილველათ.

დახვრეტას მოითხოვენ

პეკინი, 20 აგვისტო. რეაქციონური გაზეთი „პეკინ ენდ ტიან-ცზინ ტაიმს"-ი აშკარათ მოუწოდებს ლი-ჩჟინ-ლინს ცახვრიტოს ნაციონალურ და მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელები, რომლებიც დაპატიმრებული იქნენ ტიან-ძინში.

გაზეთი აცხადებს, რომ „დაპატიმრებულებმა უნდა მიიღონ ის სასჯელი, რომელიც დაიმსახურეს. პოლიტიკურ აგიტატორების სასტიკათ დასჯა სასარგებლო იქნება".

ომი მაროკოში

ფრონტზე

პარიზი, 20 აგვისტო, ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის ჯარების ოპერაციები ტსულის ოლქში წარმატებით გრძელდება. საფრანგეთის მთავარმა რაზმმა იერიში მიიტანა მოწინააღმდეგე ჯარების ბანაკზე, ორმა სხვა რაზმებმა ფრთების შემოვლით აღადგინეს კავშირი საფრანგეთის ნაწილებთან, რომლებიც მოქმედებდნენ ტსულის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილში. მთელი ტსულის ოლქი დაკავებულია ფრანგების მიერ. ტომთა უმრავლესობამ სურვილი განაცხადეს ჩაბარდენ ყოველ პირობების გარეშე. საფრანგეთის მხრივ დანაკლისი უმნიშვნელოა.

აბდ-ელ-ქერიმი არ აპირებს მოლაპარაკების დაწყებას

პარიზი, 20 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ორი დიპლომატიური აგენტი, ესპანელი და ფრანგი რამდენიმე კვირის განმავლობაში ელოდენ მელილაში და ტანჟერში აბდ-ელ-ქერიმის წარმომადგენლებს. უკანასკნელნი არ გამოცხადდენ და აგენტებს მიეცათ წინადადება [illegible] დაბრუნების [illegible].

ჰავასის სააგენტოს ცნობა

პარიზი, 20 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება: „ცნობა ფრანგების დიდი გამარჯვების შესახებ სწრაფად გავრცელდა მთელ მაროკოს ფრონტზე. ტომებმა, რომელნიც აპირებდენ დამორჩილებას, გამართეს მოლაპარაკება საფრანგეთის ხელისუფლებასთან. მაროკოელები მასიურად აცხადებენ მორჩილებას. საფრანგეთის ხელისუფლებამ დამორჩილება განსაზღვრა პირობებით. საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს მაღლობები და ღრმა ხეობები ტსულის ოლქის ჩრდილოეთ საზღვრებამდე ბრანესის დიდმა ტომმაც დაიწყო მოლაპარაკება ზავის შესახებ.

სხვა და სხვა

— ექსპედიცია სამხრეთ-პოლიუსისაკენ. მაკ-მილანის [illegible] ექსპედიციამ, რომელიც [illegible] ამერიკიდან სამხრეთ-პოლიუსისაკენ გამგზავრა, არახელსაყრელ კლიმატიური პირობების გამო, უარი სთქვა თავისი პროგრამის ნაწილის განხორციელებაზე.

— არასასურველი უცხოელები. უკანასკნელ ხანებში სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკებში იცემა კანონები „არასასურველ უცხოელების", განსაკუთრებით კი კომუნისტების დაშვების წინააღმდეგ სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკებში. ასეთი კანონები გამოიცა მექსიკაში, კუბაში და ჩილიში.

— კომუნისტების დევნა ჩინეთში. მუკდენიდან იუწყებიან, რომ ჩინეთის ადმინისტრაცია უთვალთვალებს მოსკოვიდან დაბრუნებულ ჩინელ კომუნისტებს, რომ დააპატიმროს ისინი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

კამპანია პროვინციაში მუშაკების გასაგზავნათ.

მოსკოვი. 20 აგვ. რ. კ. პ. მოსკოვის ორგანიზაციამ დაასრულა კამპანია პროვინციაში მუშაკების გასაგზავნათ.

პროვინციაში მუშაკების გამგზავნ მოსკოვის საგუბერნიო კომისიაში ორი თვის განმავლობაში გატარდა 1257 კაცი, აქედან მიღებულია და გაიგზავნა პროვინციაში სამუშაოდ 819 კაცი. მობილიზაცია გაგრძელებულია 1 სექტემბრამდე.

საერთაშორისო სატელეგრაფო კონგრესი.

მოსკოვი. 20 აგვისტო. 1 სექტემბერს გაიხსნება საერთაშორისო სატელეგრაფო კონგრესი. საბჭოთა კავშირიდან კონგრესზე დასასწრებლათ მიემგზავრება დელეგაცია შვეციაში მყოფ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის დოვმალევსკის თავმჯდომარეობით.

მდგომარეობა პურის ბაზარზე

მოსკოვი, 21 აგვ. შინვაჭრ. სახკომისარიატთან გაიხსნება ადგილობრივ შინავაჭრობის ორგანიზაციების და პურის დამმზადებელთა თათბირი.

უკრაინის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის მოსავალი უკრაინაში აღემატება ომის წინა დროის მოსავალს.

ხორბლის ფასმა დაიკლო 1 მანეთ. და 42 კაპეიკამდე, ჭვავისა—90 კაპ. ფუთ. ადგილობრივი კოოპერაცია შეუდგა პურის დამზადებას.

მოსმენილი იქნა აგრეთვე სარატოვის, სამარას, ურალის და ბაშკირთო რესპუბლიკის წარმომადგენელთა მოხსენებანი. ყველანი აღნიშნავდენ რომ წვიმებს ცუდი გავლენა არ მოუხდენია მოსავალზე

საბჭოთა კავშირის მშრომელთა სტუმრები

უცხოელ მასწავლებელთა დელეგაცია მოსკოვის საბჭოში

მოსკოვი, 21 აგვ. დღეს უცხოელ მასწავლებელთა დელეგაციამ ინახულა მოსკოვის ქალაქის საბჭო.

დელეგატებს სიტყვით მიმართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლიუბიმოვმა. მან გააკეთა საფუძვლიანი მოხსენება მოსკოვის გუბერნიის წარმოებისა და მეურნეობის შესახებ. ლიუბიმოვის განცხადებით, მოსკოვის გუბერნიაში იმდენი კულტურული მუშაობაა შესრულებული მუშათა მასსებში და თვით საბჭოშიც, იმდენი აქტიური მუშები იღებენ მონაწილეობას, რომ ჩქარა მოსკოვი სამაგალითოდ გადაიქცევა მთელ საბჭოთა კავშირში.

ამ საფუძვლიანი მოხსენებისთვის დელეგაციის სახელით მადლობა გადაუხადა შმიდტმა.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა უპარტიო გლებმა და სთქვა, რომ საბჭოთა ნიადაგზე დამდგარი მასწავლებლობა და ინტელიგენცია არ უნდა ნანობდეს ამ ნაბიჯის გადადგმას, რადგან ჩვენი ხელისუფლება ოქროს ფასათ აფასებს ყველა კარგსა და პატიოსან მუშაკსო.

საბჭოს წევრმა—პროფ. ხუდიაკოვმა დელეგატებს გააცნო უმაღლეს სასწავლებლების მდგომარეობა და მათი ღვაწლი მშრომელთა საერთო წარმატებაში.

ამ სიტყვამ საპასუხოთ გამოიწვია გერმანელი დელეგატი—პროფ. კრიუგერი, რომელმაც ასე დააბოლოვა თავის სიტყვა: „გერმანიაში დაბრუნებისას ჩვენ არ გავჩუმდებით და ვილაპარაკებთ ყველაფერზე, რაც აქ ვიხილეთ. ჩვენც ვიმუშავებთ და ვიბრძოლებთ თქვენსავით, რომ საბოლოოთ მაინც სიმართლე გამოვიდეს გამარჯვებული".

დელეგატებს დაურიგდათ ფრანგულ და გერმანულ ენებზე დაბეჭდილი ანგარიშები მოსკოვის საბჭოსი და ჯანმრთელობის განყ. მუშაობის შესახებ.

დასასრულ დელეგატებმა დაათვალიერეს მოსკოვის საბჭოს შენობა, ყოფ. სასახლე გენერალ-გუბერნატორისა.

მოსკოვის მასწავლებლობისა და დელეგატების საზეიმო სხდომა

მოსკოვი, 21 აგვ. 20 აგვისტოს მოხდა მოსკოვის მასწავლებლობისა და უცხოელ დელეგატების შეერთებული საზეიმო სხდომა.

განათლების მუშაკთა ც. გ. თავმჯდომარე ამხ. კორისტელევმა წარმოსთქვა სიტყვა, რომ [illegible] განათლების მუშაკთა ერთიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა ახალგაზრდა პიონერების კოლექტიური გამოსვლა.

ამხ. ლუნაჩარსკის სიტყვა

ბოლოს მოხსენებით გამოვიდა ამხ. ლუნაჩარსკი, მან თავის სიტყვაში აღნიშნა სკოლისა და მასწავლებლობის როლი კომუნისტურ აღმზრდელობაში. ასწერა ის სიძნელენი, რაც აქნობამდის წინ ელობებოდა სკოლის სავსებით განახლებას. ეხლა მდგომარეობა შეცვლილია სამეურნეო აღორძინებასთან ერთად და 2—3 წელიწადში მივაღწევთ უდიდეს გამარჯვებებს შრომის სოციალისტურ სკოლის შექმნაში.

კრების დასასრულს მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც ყველა ქვეყნების განათლების მუშაკნი მოწოდებულ არიან, გაერთიანდენ განათლების მუშაკთა მთლიან ინტერნაციონალურ კავშირში.

მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის დელეგაცია

მოსკოვი, 21 აგვ. ინგლის-საფრანგეთის დელეგატები 20 აგვისტოს მოსკოვიდან გაემგზავრენ ნოვგოროდისა, ყაზანისა და სვერდლოვისაკენ, სადაც დაათვალიერებენ მ. ს. დახმარებისა და „ცენტროსოიუზის" წარმოებათ.

საკავშირო ავტო-გადარბენა

მოსკოვი, 21 აგვ. 20 აგვისტოს ტვერიდან გამოვიდენ მოსკოვისაკენ გადარბენაში მონაწილე ყველა მსუბუქი ავტომობილები.

წინა დღეს მოვიდა დიდი წვიმა, რის გამოც გზები ძლიან გაფუჭდენ. ამიტომ დიდი ავტომობილებისთვის შეუძლებელი შეიქნა საშუალო სიჩქარის (საათში 64 კილომეტრი) გარბენა.

პირველი კატასტროფა მოხდა ტვერიდან 83 ვერსზე კლინის მახლობლათ. ერთი მანქანა, რომელსაც ჰმართავდა ლენინგრადელი ინსტრუქტორი, გაცურდა და თხრილში გადავარდა. დაზიანდა ერთი თვალი და საჭე. შოფერი და მგზავრები მცირედათ დაშავდენ.

მეორე მანქანას გაუტყდა რესორი და ისიც თხრილში გადავარდა. მანქანა არ დაზიანებულა. სატექნიკო კომისიის ერთი წევრი მცირედ დაშავდა და მოსკოვში იქნა გადაყვანილი.

საექიმო ავტომობილსაც დაუზიანდა შინების რგოლი.

კიდევ იყო რამდენიმე მცირედი დაზიანება. მგზავრებმაც უმნიშვნელო დაშავებანი მიიღეს.

უცხოელ ხელმძღვანელებისგან არავინ არ დაშავდა. ეს აიხსნება იმათი თავდაჭერით და აგრეთვე იმითი, რომ არ სურდათ გარდაელახათ გადარბენისთვის გამომუშავებული წესები.

უცხოეთის პრესას ძალიან ეინტერესება გადარბენის მსვლელობა. მესსედესზე მოდის კორესპონდენტი ქალი—კორბელი. ფიატზე მოდის ფაშისტურ ორგანოს „პოპოლო-დიტალიას" საგანგებო კორესპონდენტი რომელიც იმავე დროს არის წარმომადგენელი იტალიის ტელეგრაფის სააგენტოს.

მოსკოვში

მოსკოვი, 21 აგვ. დღეს შუადღისას დაიწყო გადარბენაში მონაწილე ავტომობილების მოსვლა. ორ საათზე პეტროვსკის ბაღში გამწკრივდენ ტალახში მოსვრილი ავტომობილები მთელი ბაღი მორთულია საკავშირო და უცხო სახელმწიფოთა დროშებით.

ზეიმს დაესწრენ ამხ. ენუქიძე, უნშლიხტი, ვოროშილოვი, იაროსლავსკი; უცხო სახელმწიფოთა წარ[illegible]. საბჭოს წევრები, სასპორტო ორგანიზაციები და სხვა.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს პროფ. ფელზერმა განაცხადა, რომ გარბენა ერთობ სასურველად მიმდინარეობს. მანქანები იჩენენ შეკვეთილზე მეტ სიჩქარეს, მთელი მოსახლეობა ვარბენის მონაწილეთ დიდის თანაგრძნობით ეგებება.

მოსკოვში მისვლა

მოსკოვი, 21 აგვ. 3 საათზე—გამწკრივებული ავტომობილები შედიან მოსკოვში, სადაც ხალხი აღფრთოვანებით ეგებება.

სალამოზე მოვიდენ კლინის მახლობლად დაზიანებული ავტომობილები.

ხვალ მოვლენ საბარგო ავტომობილები.

მოსკოვიდან გავა ტულისაკენ გარბენაში მონაწილე 228 ავტომობილი.

ცოტა რამ რელიგიური ტრადიციების შესახებ*)

(დისკუსიის წესით)

დღეს, როცა პარტიის ძირითად ამოცანას პროლეტარიატის დიქტატურის გამაგრებისათვის მუშათა კლასისა და გლეხკაცობის შორის მჭიდრო კავშირის დამყარება შეადგენს,—რელიგიის საკითხებიც ყურადღების ღირსი ხდებიან, მიუხედავათ იმისა, რომ საერთოდ, რელიგიის საკითხები ამ შემთხვევაში მეორე და მესამე ხარისხოვან საკითხებად უნდა ითვლებოდენ. ამიტომ შეუძლებელია ამ საკითხის ყურადღებიდან გაშვება, შეუძლებელია პარტიის წევრებს (მით უმეტეს სოფლათ მომუშავეთ) არ განუმარტოთ და არ მივსცეთ რაიმე სახელმძღვანელოს მზგავსი დირექტივები რელიგიური ხასიათის ტრადიციების შესახებ, რომლებსაც ჯერ კიდევ მაგრათ აქვს ფესვები გადგმული სოფლის ცხოვრებაში.

რა თქმა უნდა, არ არსებობს და არ გვაქვს ხელთ ისეთი რეცეპტი, რომლის საშუალებით შეიძლებოდეს დასმული საკითხის ყოველმხრივათ გაშუქება და საბოლოოთ ამოწურვა. ერთი კი აშკარაა: პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მორწმუნეთ არ უკრძალავს, სრულ თავისუფლებას ანიჭებს იწამოს ისე, როგორც მას სურს: იაროს ეკლესიაში, ილოცოს და აღასრულოს ყოველგვარი რელიგიური ზნე-ჩვეულებანი.

ვიცით, რომ ხსენებული ზნე-ჩვეულებანი დიდათ საზარალო და მავნებელია მშრომელი ხალხისათვის მაგრამ ადმინისტრატიული ძალდატანება, დაცინვა და ყბად აღება აქ ყოვლად დაუშვებელია. ნაცვლათ ამისა ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მშვიდობიანი, სერიოზული, სისტემატიური ანტირელიგიური პროპაგანდა-აგიტაცია და ყველგან და ყოველთვის უნდა აუხსნათ და შევაგნებინოთ მშრომელ მასას ის მავნებლობა და ზარალი, რომელიც მოაქვს ხალხისათვის რელიგიური ზნე-ჩვეულებებსა და მღვდელთ-მსახურების შესრულებას.

ყველაზე უფრო ძნელი დასაძლევია მავნებელი ტრადიციები სოფლად და ამიტომ აქ ყოველთვის მეტი სიფრთხილე და წინდახედულება არის საჭირო ანტი-რელიგიური პროპაგანდის დროს.

საჭიროა სიფრთხილე არა მარტო უპარტიო მასასთან, არამედ სოფლის იმ კომუნისტების მიმართაც, რომლებიც თავის უპარტიო მეზობლებთან ერთად კავ-სახნისზე არიან მიჯაჭვულნი და მათთან ერთად იყოფენ ჭირსა და ლხინს.

რა თქმა უნდა, ქალაქისა და სოფლის კომუნისტებმა არ უნდა იწამონ და არ შეასრულონ არც ერთი რელიგიური წესი; ერთიცა და მეორეც ამ შემთხვევაში მტკიცე და ურყევი უნდა იყოს, მაგრამ მიუხედავათ ამისა უფრო ლმობიერი და წინდახედული უნდა იყოს ამ შემთხვევაში სახნისზე მიჯაჭული სოფლის კომუნისტის უარყოფითი მხარეებისადმი მიდგომის მეთოდები და გამოსწორებისათვის მიღებული საშუალებები. აქ ერთის მხრით უნდა გავარჩიოთ სოფლის კომუნისტის შემთხვევითი შეცდომა, ხოლო მეორეს მხრით მისი მუდმივი ხასიათის საქციელი. პირველ შემთხვევაში გამოსწორება შესაძლებელია და საამისო ზომებიც ლმობიერი და წინდახედული იქნება. მეორე შემთხვევაში გამოსწორებაზე ლაპარაკი ზედმეტია და მაშინ პარტიის წევრი შეიძლება დაისაჯოს უმაღლესი პარტ-სასჯელით—პარტიიდან გაძევებით.

ამასთანავე კომუნისტი, მით უმეტეს სოფლათ, ძალას ვერ დაატანს თავისი ოჯახის უპარტიო წევრებს, რომ იმათაც მასავით უარყონ რელიგიური ზნე-ჩვეულებანი. თავი და ფავი ის არის, რომ კომუნისტი ამ შემთხვევაში თვითონ უნდა იყოს ურყევი და მტკიცე, თვითონ არ უნდა ორჭოფობდეს, არ უნდა თაღლითობდეს, არ უნდა ატყუებდეს პარტიას.

იყო შემთხვევა, როცა კომუნისტმა ბავშვი მონათლა რელიგიური წესით, მაგრამ ცოლს გადააბრალა: სახლში არ ვიყავი და ჩემს დაუსწრებლათ და უნებრივათ ჩაიდინაო. ნამდვილად კი ყველაფერი მისი თანხმობით მოხდა, ხოლო იმ დროს განგებ პირი სხვაგან გაითქვა.

ასეთი კომუნისტი, რა თქმა უნდა, ვერც თავის მეზობლებში და ვერც საკუთარი ოჯახის წევრებში ვერავითარ გავლენასა და ავტორიტეტს ვერ მოიპოვებს. რომ სხვებს საჭიროების დროს რჩევა-დარიგება მისცეს მავნე ზნე-ჩვეულების შესახებ, მას ყურსაც არავინ ათხოვებს. პირიქით: რამდენადაც პარტიის წევრი გულწრფელია და მტკიცეთ, პატიოსნათ იცავს თავის შეხედულებას, იმდენათ მას მეტი ავტორიტეტი და გავლენა ექნება თავის მეზობლებში, ანგარიშს გაუწევენ მის სიტყვასა და საქმეს, უფრო დაუჯერებენ მის მშვიდობიან რჩევა-დარიგებას, როგორც თავის ოჯახში, ისე მის გარეშე და მიჰბაძავენ ადრე თუ გვიან მის კარგ მაგალითებს. ასეთმა კომუნისტებმა უნდა განუმარტონ ხალხს სიდუხჭირე ყველა იმ ზნე-ჩვეულებებისა, რომლებიც აღმოცენებული არიან რელიგიურ ნიადაგზე. თვითონ უარყოფითად უნდა უყურებდენ ხსენებულ მავნე ტრადიციებს და ადმინისტრატიული ძალდატანების გარეშე უნდა ცდილობდენ მის საბოლოოდ აღმოფხვრას.

შეუძლიათ თუ არა სოფლის კომუნისტებს დასწრება ისეთ თავყრილობაზე (გარდა წირვა-ლოცვისა ეკლესიებში), სადაც მათდა დამოუკიდებლათ, მათდაუნებურად სრულდება რელიგიური წესები. ამის შესახებ ერთ-ერთ წერილში ძალიან დაწვრილებით გვეკითხება ერთ-ერთი სამაზრო პარტკომი. აი, ეს შეკითხვებიც: 1. როდესაც უპარტიო მეზობლები მიცვალებულს ასაფლავებენ საეკლესიო წესით, მართავენ ქელეხს და ეძახიან მეზობელ კომუნისტებსაც, როგორ უნდა მოიქცეს კომუნისტი: მივიდეს თუ არა მეზობლისას? 2. ბავშვის მონათვლის დროს უპარტიო მეზობელს, ნაცნობს, ნათესავს მოპატიჟებული ჰყავს მღვდელი და ამასთანავე სხვებთან ერთად პატიჟებს კომუნისტებსაც. რა ქნას კომუნისტმა. ეწვიოს თუ არა? 3. ქორწილია და ხდება ჯვარის წერა ღვდლით, ასეთ ქორწილში მოპატიჟებულია სოფლის კომუნისტი. რა ქნას, მივიდეს თუ არა? 4. უპარტიო მასა, როცა სოფლის სხვა და სხვა საეკლესიო დღესასწაულებს იხდის, როგორ მოიქცეს ამ დროს კომუნისტი?

საინტერესო შეკითხვებია, ვინაიდან ისინი ეხებიან სოფლად ჩვენი პარტიის წევრების ყოფა-ცხოვრებას. საგანი შეიძლება სადისკუსიო იყოს. საკითხი უნდა დასვათ პირდაპირ კომუნისტებმა იმისთვის, რომ მათ უფლება არა აქვთ შეასრულონ რელიგიური ზნე-ჩვეულებანი, არა-სწამთ ისინი და ებრძვიან მავნე ტრადიციებს აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებით, ბოიკოტი უნდა გამოუცხადონ თავის მეზობლებს, ნაცნობსა და ნათესავს ჭირისა და ლხინის დროს.

ჩვენის აზრით, სწორედ აქ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სოფლის ყოფა-ცხოვრების განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც უხდებათ ყოფნა სოფლის კომუნისტებს და მას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს ჩვენის ფიქრით, სოფლის კომუნისტი ბოიკოტს ვერ გამოუცხადებს თავის მეზობელს ჭირისა და ლხინის დროს. მით უმეტეს ჭირში, როცა სოფლად ჩვეულებათ აქვთ მივიდენ ერთმანეთისას და ნუგეში სცენ დამწუხრებულ მეზობელს. ასევე ვერ გამოეთიშება უპარტიო პარტიულსაც იმ მიზეზით, რომ ეს უკანასკნელი მღვდელთ-მსახურების ასასრულებლათ არ ეძახის მღვდელს, არ აწყობს ქელეხს და არც ეკლესიაში დადის სალოცავზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით ამ ნიადაგზე პარტიულისა და უპარტიო გლეხის დაპირისპირებას, რაც სრულიადაც არ იქნებოდა ჩვენთვის ხელსაყრელი და მისაღები, თუ მხედველობაში მივიღებთ სოფლისადმი დღევანდელ ჩვენს დამოკიდებულებას.

კომუნისტი მოვალეა წინასწარ რჩევა-დარიგება მისცეს თავის უპარტიო მეზობელს, ნათესავს და ნაცნობს, რომ არ გასწიოს უმიზნო ზედმეტი ხარჯი გარდაცვალების (ქელეხი), ქორწილის, ნათლის და საეკლესიო დღესასწაულების გადახდით. ქელეხსა და საეკლესიო დღესასწაულებს ყველაზე უფრო აშკარათ და გაბედულათ უნდა ებრძოლონ არა მარტო კომუნისტებმა, არამედ ყველა შეგნებულმა მოქალაქემ, ვინაიდან ეს ჩვეულებანი ყველაზე მეტად ანადგურებს გლეხის ოჯახს მატერიალურად.

ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, კომუნისტი თვითონ არ ასრულებს არც ერთ რელიგიურ ზნე-ჩვეულებებს, არა სწამს და ებრძვის იდეურად, სისტემატიური პროპაგანდა-აგიტაციის საშუალებით ყოველგვარ მავნე ზნე-ჩვეულებებს ხალხში.

მიუხედავათ ამისა შესაძლებელია, სოფლის ყოფა-ცხოვრების განსაკუთრებული პირობების გამო, მას (მხედველობაში მყავს უმთავრესად სოფლის კომუნისტი, რომელიც თავის მეზობელსავით მუშაობს კავ-სახნისზე) მოუხდეს მისვლა თავის მეზობლისას ან ნათესავისას იმ დროს, როცა იქ რაიმე (ტირილი, ქორწილი და სხვა) რელიგიური წესი სრულდება. იგი ამ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს პირდაპირ მონაწილეთ, მოწყობათ და ამსრულებლათ ხსენებული ზნე-ჩვეულებებისა.

რა თქმა უნდა უკეთესი იქნებოდა, თუ კომუნისტი უბრალო მოწმეთ არ გახდებოდა ასეთი შემთხვევების, მაგრამ თუ ღრმათ ჩაუკვირდებით საგანს, მაშინ დავინახავთ, რომ სოფლის კომუნისტის ნება-სურვილზე და შეხედულებაზე ყოველთვის არ იქნება დამოკიდებული ეს გარემოება.

სამაგიეროთ კომუნისტები აქაც კარგი, დადებითი მაგალითების მიმცემი უნდა იყვნენ სხვებისათვის, აქაც უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი არიან კომუნისტური პარტიის წევრები და მათი უარყოფითი საქციელი (დათრობა, აყალ-მაყალი ჩხუბი, ლანძღვა-გინება, ხმაურობა, ყვირილი, აურზაური და პირდაპირი მონაწილეობის მიღება და ასრულება რელიგიური ტრადიციების) მათი მხრით დაუშვებელია და ასეთი საქციელისთვის მათ მოელით პარტ-სასჯელი, გაკიცხვა, საყვედური, პრესაში გამოცხადება და გაძევება.

მოვა დრო, შეიცვლება სოფლის ყოფა-ცხოვრების პირობები, მოისპობა ის წინააღმდეგობანი, რომელთა გავლენას დღეს ჩვენ ხშირათ განვიცდით ჩვენი მუშაობის დროს და მაშინ სულ სხვანაირად მივუდგებით საკითხის გადაჭრას.

საჭიროა მოთმინება, საჭიროა კულტურული მშენებლობა, იდეური, სისტემატიური ბრძოლა მავნე, ხალხის საზარალო, მისი გონების დამაბნელებელ ტრადიციებთან და წინააღმდეგობათა გადალახვისა და დაძლევის დროს ჩვენი საკუთარი სახის შენარჩუნება.

კრიჭაში უნდა ჩავუდგეთ თავის თავს ამ გარდამავალ ხანაში და დავაფრთხილოთ იგი ყოველგვარი გადახრისაგან. კომუნისტი ყველგან და ყოველთვის მხოლოდ კარგი მაგალითის მიმცემი უნდა იყოს მშრომელი მასისათვის; მაგრამ არა ჩამოშორებით, არა უადგილო დროს და გარემოებასთან შეუფერებელი გამოთიშვით, არამედ ხალხთან მჭიდროთ დაახლოვებისა და მასში შეგნების გავრცელების საშუალებებით.

ა. დოლიძე.

---

*) ვათავსებთ რა სადისკუსიო წესით ამხ. ა. დოლიძის წერილს, ჩვენ მოუწოდებთ სხვა ამხანაგებსაც გამოსთქვან თავიანთი მოსაზრებანი მასში აღძრულ საკითხების და საერთოდ კომუნისტის, კერძოთ სოფლელ კომუნისტის ყოფა-ცხოვრების შესახებ. გაზეთის ფურცლებზე საჭიროა ამ საკითხების არა იმდენად განყენებული, თეორიული, რამდენად პრაქტიკული გაშუქება.

რედ.

ორშაბათს, 24 აგვისტოს, სად. 6 ს. მოწვეულია

თბილისის საბჭოს [illegible] სექციების

»»»| მორიგი სხდომა |«««

1) კომუნალური . . .	(წითელი თეატრი).
2) ჯანმრთელობის . .	(აღმასკ. შენ. ოთახი № 87).
3) საფინანსო . .	(აღმასკ. შენ. ოთახი № 17).
4) განათლების . .	(აღმასკ. შენ. ოთახი № 82).
5) სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის .	(აღმასკ. შენ. ოთახი № 28).
6) სამხედრო . .	(აღმასკომის დარბაზი).

ყველა სექციებისათვის

დღის წესრიგი: ინფორმაციული მოხსენება თბილისის საბჭოს და მისი ორგანოების 1925 წ. პირველ ნახევრის მოქმედების შესახებ.

თავის სექციების მიხედვით ყველა საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

სექციების წევრებს დაურიგდებათ ანგარიში.

თბილისის საბჭოს სექციების მუშაობის ხელმძღვანელი

ნის. 1631. 2—1 არ. რუხაძე.

22.000 ტრაქტორი

მოსკოვი, 21 აგვისტო. მიწადმოქმედების კომისარიატის გეგმით 1925—1926 წლის განმავლობაში მთელ საბჭოთა კავშირში განზრახულია 22.000 ტრაქტორების დანაწილება, რასაც დასჭირდება 62.000.0 მან. ეს თანხა მიღებული იქნება წილ იმრივ გლეხებისაგან ნა ბრივ კი გრძელვადიანი და მ ვადიანი სესხის სახით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაშ

საქართველო

ჭიათურა

სახელოსნო კურსები.

ჭიათურაში ეწყობა მუშა ახალგაზრდობისათვის სახელოსნო კურსები. ამ კურსების შესანახად შავი ქვის მრეწველნი იძლევიან თანხიდან ყოველთვიურად განსაზღვრულ თანხას.

[illegible]

კერძო შავი-ქვის მრეწველებს შეაქვთ ფული კომუნალურ მეურნეობის გამგეობაში ქალაქის აბანოს შესაკეთებლად.

აჭარისტანი

სატრანზიტო საქონელი.

ბათუმი, 21 აგვისტო. სააქციონერო საზოგადოების „ტრანსპორტის" სახელზე მიიღეს პირველი სატრანზიტო საქონლის გამგ ნათ სპარსეთში.

მიწათმოქმ. ხუთწლი[illegible] გეგმა.

ბათუმი, 21 აგვისტო. სახ ცო საგეგმო კომისიამ განიხი დაამტკიცა აჭარისტანის მიწათმ ყობის ხუთწლიანი გეგმა. მიხედვით განზრახულია 40.000 სეტინა არის გადაღება, ჭაობ და ჭოროხის მაზრებში მიწების მოყოფა მშრომელ გლეხებზე დ რიგებლად და სხვა.

ტრამვაის მოწყობის პროექ

ბათუმი, 21 აგვისტო. სახკომ ჭომ წინადადება მისცა კომუნ მეურნეობის გამგეობას სასწრ წარადგინოს თავისი მოსა ბათუმში ტრამვაის მოწყობის ხებ.

ეკონომიური ცხოვრებ

შინავაჭრობა ივლისში

ჩვენს თან[illegible] ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში შინავაჭრობის შესახებ ივლისში აცნობეს შემდეგი:

კოოპერაცია

საქართველოს ძირითადი კოოპერატივების ბრუნვა ივლისის განმავლობაში ივნისის ბრუნვასთან შედარებით საგრძნობლად შეიცვალა. შესადარებლად აღებულია 38 ძირითადი კოოპერატივი და მათი სავაჭრო ბრუნვა როგორც ყიდვის, ისე გაყიდვის მხრივ.

ამ კოოპერატივთა სავაჭრო ბრუნვა ყიდვის მიხედვით ივნისში უდრიდა 696.500 მანეთს, ივლისში კი 666.800 მან. (შემცირებულია 4,3 პროცენტით).

გაყიდვის მიხედვით მათი ბრუნვა ივნისში შეადგენდა 656.700 მან., ივლისში კი—687.600 მანეთს. ამრიგად ივლისის ბრუნვა ივნისის ბრუნვასთან შედარებით მომატებულია 4,7 პროც.

იმპორტი

ივლისის განმავლობაში გეგმის მიხედვით არ შემოსულა პური არც რუსეთიდან, არც უცხოეთიდან, მხოლოდ გეგმის გარეშე რკინისგზით კერძო თაოსნობით შემოზიდულია 42.000 ფუთი ხორბალი და 30.000 ფუთი ფქვილი. დღესდღეობით პურის ბაზარი დაკმაყოფილებულია. ახალი გეგმით პურის შემოზიდვა დაიწყება სექტემბრიდან. ამისათვის გაცემულია განკარგულება და მიღებულია ზომები.

რაც შეეხება ბამბეულ მანუფაქტურას, ის საქართველოში გეგმის მიხედვით უნდა შემოზიდულიყო 30 ვაგონი. შემოიზიდა 80 ვაგონი (შესრულებულია 100 პროც.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გეგმის გარეშე აგრეთვე შემოზიდულია არა ბამბეული მანუფაქტურა.

შაქარი ივლისში უნდა შე[illegible]დულიყო 55 ვაგონი, შემოი მხოლოდ 14 ვაგონი (შესრულებ 25,5 პროც.).

დამზადება

ივლისის განმავლობაში უმთავ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმო დამზადება-რეალიზაცია შემდეგ რათ წარმოადგენდა.

მატყლის ნაშთი 1-ლ ივლის თვის უდრიდა 14.296 ფუთს, ზადდა 8,956 ფ., გადაიგზავნა გაიყიდა 11.701 ფ.; დარჩა 1-ლ ვისტოსათვის 21.551 ფუთი.

აბრეშუმის პარკის ოპერაცი სრულდა ივლისში, ივნისში და დებული იქნა 45.499 ფ. ხოლო ლისში 64.212 ფ. სულ 109.71 მათ შორის აფხაზეთში 4.711 ფ. ნარჩენი 105.000 ფ. საქართველ საზ.—ბა „აბრეშუმი"-ს მიერ.

თამბაქოს ნაშთი 1-ლ ივლის თვის უდრიდა 261.846 ფუთს ზადდა ივლისში 26.686 ფ. გა ბული და გადაცემული იყო და შავებლათ 4.956 ფ. 1-ლი აგვის სთვის დარჩა 283.526 ფ.

ტყავეულობის დამზადება ულებრივად მიმდინარეობდა.

ღვინის მარაგი 1-ლ ივლის თვის უდრიდა 526.749 ვედრო მზადებული იქნა წარმოქმ მიერ 21.009 ვედრო; გა 3.208 ვედ. მარაგი 1-ლი აგვის სთვის უდრის 274,550 ვედროს.

არაყის და სპირტის მარაგი ივლისისათვის უდრიდა 37,878 გ დუსს და 1844 ვედროს. დამზა —3086 გრ., გასაღდა 40964 დარჩა 1844 ვედრო.

პურეულობა ივლისში დამზ მხოლოდ ქერი 2.500 ფ. ცე რის აპარატით; ეს რაოდენობ უსაღებელი რჩება 1-ლ აგვისტ თვის.

დაფნის ფოთოლი. დამზადე და გასაღებულია 1580 ფუთი ნის ფოთოლი.

სახელმწიფო მომგებიანი სესხის გ თამაშება

მიმდინარე წლის 15 სექტემბერს დაიწყება მეორე სახელმწიფო მომგებიანი ექვს პროცენტიანი სესხის მეოთხე მორიგი ტირაჟი. ამ შემთხვევაში გათამაშება მოხდება თბილისში. როგორც წინეთაც, ეხლაც გათამაშებული იქნება 750,000 მანეთი, რომელიც დაყოფილია 9,188 მომგებიან ბილეთად შემდეგი განაწილებით: ექვსი ბილეთი—თითო 500, მანეთის, 93 თითო 1000 მანეთის, 105—500 მანეთის, 2,556—100 მანეთის და ბოლოს 6,378—თითო 50 მანეთის.

ამ ტირაჟს დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის. ჩვენ საშუალება არა გვაქვს კრედიტები მივიღოთ უცხოეთიდან, ამიტომ ჩვენ უნდა დავეყრდნოთ ჩვენს საკუთარ თანხებს და ეკონომიკას. სესხის იძულებით განაწილებაზე უარის თქმა და ობლიგაციების თავისუფალი რეალური კოტიროვკა საფონდო ბირჟებზე დამამტკიცებელია იმის, რომ ჩვენი მეურნეობა ინტენსიურათ ვითარდება და განუწყვეტლივ იზრდება ხალხის მასების კეთილდღეობა.

ჩვენი მეურნეობის გაჯანსაღების საქმეში სახელმწიფო სესხს დიდი მნიშვნელობა ეძლევა. მისი თავისუფალი განაწილება კი დამა ცებელია იმის, რომ სახალხო ნეობაში არის დაგროვილი თა ფალი თანხები.

მეორეს მხრივ, სესხი იძლე თანხებს, რომლებიც სჭირდე ხელმწიფოს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახ ბის თავისუფალი თანხების და ბა სესხის ობლიგაციებში მეტა სარგებლო და მოსახერხებელია ლიგაციის მეპატრონე წლი ილებს 6 პროცენტს. ამას გა სესხის ობლიგაციებში დაბანდე კაპიტალი თავისუფალია დაბეგ საგან; შემდეგ, რაც უფრო მნი ლოვანია, ობლიგაციების მეპატ ნეს შეუძლია ყოველთვის დააგი ისინი, ამასთანავე ის არ კა მოგების უფლებას; თითო ობ ციას შეუძლია მოიგოს რამოდე ჯერ.

მეორე სახელმწიფო სესხის მ ხე ტირაჟი, რომლის გათამა მოხდება 15 სექტემბერს ამიერ- კასიის ცენტრში—თბილისში, შეუწყობს სახელმწიფო სესხის ლიგაციების გავრცელებას მშრ მასებსა და მთელი ამიერ-კავკ მოსახლეობის შორის.

ეროვნული

პარტიული ცხოვრება

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირი

ს. კ. პ. (ბ.) ც. კ-ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აცნობებს სამაზრო და საოლქო კომიტეტებს, რომ
სექტემბრის პირველ რიცხვში გაიხსნება
სამაზრო და საოლქო კომიტეტების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების

თათბირი

თათბირზე მოწვეულნი არიან:

ა) პოლიტ-განის გამგეები აჭარისტანის ოლქიდან, შორაპნის, ოზურგეთის, გორის, სიღნაღის და ბორჩალოს მაზრებიდან.

ბ) კომკავშირის სააგიტ. საპროპ. განყოფილებათა გამგეები, გორის ოზურგეთის, ქუთაისის, ახალციხის, თელავის, სენაკის და ლეჩხუმის მაზრებიდან.

გ) პოლიტ-ცოდნის მოძრავ-სკოლის შემდეგი ხელმძღვანელები: ბზეკელავა, (ოზურგეთის მაზრიდან), კაკალოვი (ახალციხის მაზრიდან) და კარაპეტოვი (თელავის მაზრიდან).

თათბირის დღის წესრიგი:
1. პარტ. განმანათლებელ მუშაობის შესახებ.
2. პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ.
3. სოფლის ინტელიგენციის შესახებ.
4. კორესპონდენტთა მოძრაობის შესახებ.
5. წიგნისა და გაზეთის სოფლად გავრცელების შესახებ.
6. სოფლად თეატრისა და კინოს შესახებ.
7. პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა კომკავშირში.

თათბირი გაიხსნება ც. პ. სკოლის დარბაზში (რტიშჩევისა და ლერმონტოვის ქ. ქ. კუთხე) დილის 10 საათზე.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

ერთი მტკივნეული საკითხის გამო

ხშირად ჩვენ პარტიულ წრეებში საკმაო სიმწვავით სდგება საკითხი ამა თუ იმ ამხანაგის მეურნეობის გაძლიერების და განვითარების შესახებ.

უნდა ვსთქვათ, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს სწორი საზომი იმის შესახებ, თუ საიდან უნდა ჩაეთვალოს დანაშაულობად პარტიის წევრს პირადი სამეურნეო საქმიანობით გატაცება.

ორი კვირის წინად ამ საკითხის გარშემო ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოში გაზეთ „პრავდაში" მოთავსებულია ვინმე კურსანტის შეკითხვა ამხ. მიხ. კალინინისადმი, სადაც ის სთხოვს მას გაზეთის ფურცლებზე აუხსნას, თუ რა უნდა ჩაეთვალოს ამ მხრივ პარტიის წევრს დანაშაულობათ და რა არა, რადგან მას პირადათ პარტიულ დახასიათებაში აღუნიშნეს გლეხური გადახრა და მეურნეობით გატაცება იმიტომ, რომ მის ოჯახს ჰყოლია ერთი ცხენი, ერთი ძროხა და 4 ცხვარი და მეც ვეხმარები ფულით ჩემს ოჯახს, სადაც ცოლი და სამი ბავშვი არიანო.

ამხ. კალინინმა შეკითხვაზე ვრცელი პასუხი მისცა და ვფიქრობთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისათვის ინტერეს მოკლებული არ უნდა იყოს ამხ. კალინინის პასუხი, რადგან ამ მხრივ გაუგებრობას ჩვენშიაც ექნება ადგილი.

ამხ. კალინინს ეს საკითხი საზოგადოებრივ მნიშვნელობის მქონეთ მიაჩნია და სურვილს გამოსთქვამს ამ საკითხის შესახებ ფართო დისკუსია გაიმართოს პარტიულ პრესაში.

ჯერ ერთი ამხ. კალინინს უადგილოთ და ზედმეტად მიაჩნია პარტ-დახასიათებაში აღნიშნული იყოს „გლეხური გადახრის" შესახებ, რადგან გლეხური გადახრა არაა პარტიული იდეოლოგიისაგან ჩამოცილება, არამედ ეს არის ერთგვარი მიდრეკილება ამა თუ იმ საკითხში მომარჯვებულ იქნას გლეხური მომენტი და ამდენად გლეხური გადახრა ასეთ ზომიერ ფარგლებში პირიქით სასარგებლოა პარტიისათვის.

რაც შეეხება მეურნეობით მეტის მეტი გატაცებას ანუ „хозяйственное обрастание" აქ, რასაკვირველია, ჩვენ საქმე გვაქვს პარტიულ მსოფლმხედველობის დასნეულებასთან, რადგან პარტიის წევრი ასეთ შემთხვევაში გატაცებული მატერიალურ სიკეთეთა ანუ პირად მოთხოვნილებათა მეტის მეტი დაკმაყოფილების სურვილით, იდეოლოგიურად გადაგვარების გზაზე სდგება და ამდენად როგორც მებრძოლი წევრი პარტიული რაზმისათვის გამოუსადეგია.

რასაკვირველია, ეს ისე არ უნდა იქნას გაგებული თითქოს პარტიის წევრმა უარი უნდა სთქვას მატერიალურ დოვლათის მოპოვებაზე და თუ შეიძლება ითქვას, მთელი რიგი სხვა სიამოვნებაზე—მაგრამ მის მოპოვებაში ამბობს ამხ. კალინინი პარტიის წევრი არ უნდა გარდაიქცეს ამ დოვლათთა მონათ.

გლეხური მეურნეობით გატაცებაში გარკვეული უნდა იქნას ორი შემთხვევა: ერთი, როცა პარტიის წევრისათვის ცხოვრების მიზნით გამხდარა ქონების, სიმდიდრის დაგროვება, რასაც სხვათა შორის, მეურნეობის გაძლიერებით აღწევს, რისთვისაც თავის მდგომარეობით ბოროტად სარგებლობს—პირადი კეთილდღეობის გასაძლიერებლად.

და მეორე შემთხვევაც, როდესაც პარტიის წევრები თავისი მუყაითი შრომით სამაგალითო მეურნეობას ქმნიან და ცხადია ერთგვარ მატერიალურ გაძლიერებასაც აღწევენ ასეთი პირებს თვით მოსახლეობა პატივსა და ენერგიულ მუშაკათ სთვლის და მთელი რიგი საპასუხისმგებლო თანამდებობაზეც კი აგზავნის სამაგიეროთ პირველს კი არ ენდობა, რადგან ეშინია ახალი მდგომარეობით კიდევ უფრო არ ისარგებლოსო.

ცხადია, ეს ორი შემთხვევა ერთი მეორისაგან არსებითად განსხვავდება და ამხ. კალინინი ურჩევს ყოველგვარ მწმენდავი კომისიას ფრთხილად მოეპყრან ამ საკითხს და თვითეული კონკრეტიული მოვლენა ცალკე შეისწავლონ და არ დაკმაყოფილდენ მარტო საანკეტო ცნობებით.

პარტიის წევრებს არ ეკრძალებათ თავის გლეხური მეურნეობას დაეხმარონ, მხოლოდ არა ყოველგვარი საშუალებით, არამედ გარკვეულ პირობებში და გარკვეულ შემთხვევებში.

ა. ქ.

ეკონომიური ქრონიკა

სასოფლო-სამეურნეო იარაღები. აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო 75.000 მან. სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენათ.

თხილის დამზადება.

აჭარაში წელს დამზადებული იქნა გასასაღებლათ 120.000 ფუთი თხილი, რომლის მოსავალი 1920 წელთან შედარებით არაჩვეულებრივია. ფუთი ღირს 1 მ. 40 კ.

ბორჯომის პურით მომარაგება. ბორჯომში 6 დღის პურის კრიზისის შემდეგ, მიღებული ენერგიული ზომებით, მიღებული იქნა დიდძალი პურის ფქვილი, რაც ბორჯომს ეყოფა რამდენიმე თვე.

მეცხვარეობის გასაძლიერებლად.

საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასწყვიტა მომავალ წელში მეცხვარეობის გასაძლიერებლათ გასცეს მიზნობრივი სესხი ათი ათასი მანეთისა.

ნათესების მდგომარეობა

ამიერ-კავკასიაში

15 აგვისტოსთვის

(ა.-კ. ცენტ. სტატ. სამმართველოს მასალებიდან)

აგვისტოს პირველი ნახევარის ამინდი თავისი თვისებების მხრივ საერთოდ არახელსაყრელი აღმოჩნდა ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობისათვის.

აღმოსავლეთ საქართველოში ამინდი საერთოდ ნათელი, მშრალი და ცხელი იყო. გორის მაზრის გამოკლებით, ტემპერატურა ყველგან ნორმალურზე ნაკლები იყო.

სულ სხვა მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში. აქ ხშირი იყო ღრუბლიანი დღეები და წვიმები.

ამას გარდა, ადგილი ჰქონდა მშრალ ქარებს ბორჩალოს მაზრაში და აზერბეიჯანის ყველა რაიონებში, ერევანის მაზრაში კი ხშირი იყო ცხელი ქარები.

აგვისტოს დასაწყისში ახალციხის, შემახის, ახალ-ბაიაზეთის და ლენინაკანის მაზრებში მოვიდა სეტყვა.

თავთავიანთი პურები ყველგან აკრეფილია ზოგიერთი რაიონების გამოკლებით და ცნობები მოსავალის შესახებ გამოქვეყნებული იქნება ასეთების მიღების შემდეგ.

მთავარი კულტურების მდგომარეობა 15 აგვისტოსთვის ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

სიმინდი—3,2, თამბაქო—3,2, ბამბა—3,6, ხეხილის ბაღები—3,0 და ვენახები—3,0. წარსულ ვადასთან შედარებით სიმინდის მდგომარეობა გაუარესდა 5,9 პროცენტით, თამბაქოს და ხეხილის ბაღების მდგომარეობა უცვლელია. ბამბის მდგომარეობა გაუმჯობესდა 2,9 პროც., ვენახების მდგომარეობა კი გაუარესდა 3,2 პროც.

ნიშნების შემცირება თითქმის ყველგან აიხსნება არახელსაყრელი ამინდით.

ხეხილის ბაღების მდგომარეობა საერთოდ უცვლელია: აზერბეიჯანში—3,1, სომხეთში—2,8, საქართველოში—2,7. ბაღების მდგომარეობის გაუმჯობესება შემჩნეულია ალდაშის, ერევანის და ეჩმიაძინის მაზრებში.

ვენახები. ვენახების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში წინა ვადასთან შედარებით რამოდენიმეთ გაუარესდა: აზერბეიჯანში მდგომარეობა უცვლელია (3,0 ნიშანი), სომხეთში—უცვლელია (2,2 ნიშანი), საქართველოში შემჩნეულია გაუარესება (3,4 ნიშანი 3,5 წინააღმდეგ).

ვენახების მდგომარეობა 1924 წლის იმავე რიცხვისათვის ხასიათდებოდა: აზერბეიჯანში—3,7, სომხეთში—3,0 და საქართველოში—3,4 ნიშანი.

ბამბა. ბამბის ნათესების მდგომარეობა წინა ვადასთან შედარებით რამოდენიმეთ გაუმჯობესდა (3,6 ნიშანი 3,5 წინააღმდეგ).

შეფასების გადიდება შემჩნეულია სამივე რესპუბლიკაში. ცალკე რესპუბლიკებში: აზერბეიჯანი—3,7, სომხეთი—3,2, საქართველო—3,2 ამიერ-კავკასია—3,6.

თამბაქო. თამბაქოს მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში საერთოდ უცვლელი რჩება. გაუმჯობესება აღნიშნულია ალდაშის მაზრაში.

თუ ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მდგომარეობას 15 აგვისტოსათვის შევადარებთ მდგომარეობას 1924 წლის იმავე რიცხვისათვის, დავინახავთ, რომ პურის და თამბაქოს ნათესების მდგომარეობა მიმდინარე წელში გაცილებით უკეთესია წარსულზე, ბაღების მდგომარეობა კი უარესი.

წერილები ადგილებიდან

ქალთა შორის მუშაობა

ქალაქი სიღნაღი

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სიღნაღის მაზრაში ქალთა შორის მუშაობა დღესაც ვერ სდგას თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. ამის უმთავრესი მიზეზი კი მდგომარეობს იმაში, რომ სიღნაღის მაზრა კულტურულ-ეკონომიური განვითარების მხრივ საერთოდ ძლიერ ჩამორჩენილია. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ აქ ქალი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა მამაკაცის ზეგავლენისაგან. ასეთ პირობებში ცხადია ადგილობრივ ქალთა განყოფილებას მეტად გაუძნელდებოდა მუშაობა. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ის არ ზოგავდა არავითარ ძალღონეს და ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა იმისათვის, რომ გამოეცოცხლებინა ქალთა შორის მუშაობა. სწორედ ამ მიზნით ქალთა განყოფილების მიერ თითქმის ყველა სოფლებში გამოყოფილი იქნენ მასწავლებლები, რომელთაც დაევალათ წინასწარ გამომუშავებულ გეგმის თანახმად მუშაობა. მართლაც, მასწავლებლობამ დიდი ხალისით და ინტერესითაც მოჰკიდა ამ საქმეს ხელი და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარსულთან შედარებით ქალთა შორის მუშაობის დარგში საგრძნობ მიღწევებთანაც გვაქვს საქმე.

რაიონში დაარსებულ იქნა ქალთა წრეები, ეწყობა დელეგატ-ქალთა კრებებიც, რომელზედაც იკითხება ჰიგიენის დაცვის, ბავშვთა აღზრდის და სხვა პოლიტიკურ-კულტურული ხასიათის მოხსენებები. აქ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თვით დელეგატ-ქალებიც აკეთებენ მოხსენებებს, რაც მტკიცე საფუძვლებს უყრის დელეგატ-ქალთა აქტივის შექმნას და ქალთა საზოგადოებრივი მუშაობაში თანდათანობითი ჩაბმის საქმეს. სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ თემებში საბჭოს თავმჯდომარეები და მოწინავე ამხანაგები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ქალთა შორის მუშაობას. საჭიროა ამ უყურადღებობის ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა.

მეთვალყურე.

ამხ. ოლია გაბუნიას ხსოვნისათვის

25 წლის წინედ, როდესაც ამიერ-კავკასიის პროლეტარიატისთვის ჯერ კიდევ უცხო ხილი იყო ქალთა შორის აქტიური მუშაობის გაჩაღება, არალეგალურ მუშაობაში იწვრთნებოდა რევოლუციონერი მებრძოლი ქალი, ამხ. ოლია გაბუნია.

ეს იყო პირველი ქალი, რომელმაც საქართველოში, ჯერ კიდევ მე-4 კლასის მოწაფემ, 1903 წელს 23 თებერვალს მიიღო მხურვალე მონაწილეობა დემონსტრაციაში და, მიუხედავათ ყაზახ-პოლიციელების გამძვინვარებულ მათრახებისა, დასისხლიანებული, ხელჩართულ ბრძოლაში, კეტით ხელში სრულიად გაათავისუფლა მედროშე, რომელიც ყაზახებს წაექციეთ ყავდათ ფეხ-ქვეშ, ხოლო თვით კი ჩავარდება მათ ხელში.

ჩვენ მიზნათ არ გვაქვს მთელი მისი ბიოგრაფიის აწერა, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამხ. ოლია განაგრძობდა ასეთ დაუღალავ მუშაობას, სანამ რევოლუციონერ ბრძოლაში არ დალია სული 1919 წ. 28 ოქტომბერს.

უკვდავია ჩვენთვის ასეთი ამხანაგის სახელი და ჩვენ მისი თანამებრძოლი



ამხ. ოლია გაბუნია

ამხანაგები, ვთხოვთ აღმასკომს, რათა იმ სკოლას, სადაც სწავლობდა ამხ. ოლია და საიდანაც 1903 წელს აქტიური გამოსვლის და ციხეში მოთავსების გამო გამორიცხულ იქნა მე-4 კლასიდან, დაერქვას ამხ. ოლია გაბუნიის სახელობის სკოლა.

საინიციატივო ჯგუფი.

სატყეო მეურნეობა

ტყის დამუშავება სიღნაღის მაზრაში და გარე-კახეთში

განსაკუთრებულმა კომისიამ დაათვალიერა ლაგოდეხის, სიღნაღის და გარე-კახეთის ტყეები.—ქარიშხალმა საგრძნობი ზარალი მიაყენა ლაგოდეხის ტყეებს.—სიღნაღის და გარე-კახეთის ტყეების დამუშავება გაგრძელდება რამოდენიმე ათეული წელი.—ლაგოდეხის და გომბორის რაიონებში მოეწყობა ხე-ტყის სახერხი ქარხნები.—გომბორში დამზადდება თბილისისათვის საჭირო ნახშირი.

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტთან ერთად სიღნაღის მაზრაში და გარე-კახეთში გაგზავნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა დაეთვალიერებინა ტყეები და გამოერკვია მათი დამუშავების შესაძლებლობა. ამის გამო ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა სატყეო განყოფილების საექსპლოატაციო ნაწილის სპეციალისტს—ამხ. ნ. ბრეგვაძეს, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

— პირველათ კომისიამ დაათვალიერა ქიაურის აგარაკების სასოფლო ტყის ნაკვეთები: საჯუმანო, საქობო და სათიბავი. ეს ნაკვეთები დანიშნულია გასაწმენდათ. ხე-ტყის ნაწილი სჭირდება ახლად გადასახლებულებს, ნაწილი კი—80—100 დესეტინამდე საჭიროა სატყეო მასალების და შეშის დასამზადებლათ. ეს ტყე შეიძლება დამუშავდეს საწარმოო მიზნით. დამზადდება როგორც ტრავეზები, ისე სხვადასხვა ხარისხის და ზომის მორები. ტყის მოჭრის საკითხი ჯერჯერობით გამოურკვეველია.

შემდეგ დათვალიერებული იქნა ქარიშხალისაგან დაზიანებული ტყეები აგურის ხევში და აზმიკის ხეობაში. ორივე ნაკვეთებში ქარიშხალისაგან დაზიანებულია 30—35 დესეტინამდე ტყე.

კაბალის აგარაკში, ნატრუსის და ხეჩიბის უბნებში დაზიანებულია 20—25 დესეტინამდე. ამ რაიონში მუშაობს ხე-ტყის სახერხი ქარხანა. ამ ქარხნის სათანადოთ შეკეთების შემდეგ შეიძლება დაიხერხოს ხე-ტყის მასალა, როგორც ლაგოდეხის შეთამბაქოებზე გასასყიდათ, ისე გრეხილი ავეჯეულობის ქარხნის საჭიროებისათვის.

აბანოს უბანში (ლაგოდეხის აგარაკი) ქარიშხალისაგან დაზიანებულია 40 დესეტინამდე ტყე. ტყის საზიდი გზები ყველგან შესაკეთებელია. მუშა-ხელი და საქონელი ბლომათ არის. მუშაობა გაჩაღებულია. სულ ამ რაიონში მიმდინარე სეზონში საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტი დაამზადებს 1200—1500 კუბიკურ საჟენ მერქანს, სამშენებლო მასალას და შეშას. ყოველ-დღიურათ იმუშავებს 200-დე კაცი და 60—80 უღელი ხარ-კამეჩი.

თვით ლაგოდეხშიაც საკმაო დიდი ზარალი მიუყენებია ტყისათვის ქარიშხალს.

ჯიმით-კაკაბეთის აგარაკში ვეძის უბანში ტყე გადაცემული აქვს გასაწმენდათ ჯერამის გლეხ-კაცობას. იქ დარჩენილია მოსაჭრელი ტყე 500—600 კუბ. საჟენამდე.

იქვე გლეხკომს სატყეო მრეწველობის ტრესტისათვის უკვე დაუმზადებია 200 საჟენი შეშა.

ნახშირის დამზადება

ნახშირის დამზადების საქმეს უმთავრესად გომბორის რაიონში უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. სანახშირეთ აქ გამოყენებული იქნება, როგორც დამზადებული ხე-ტყის ნაშთები, ისე ჩამტვრეული ხე-ტყე და გასაწმენდ ნაკვეთების მერქანი.

ნახშირის დამზადებას ხელს შეუწყობს ის გარემოება, რომ გომბორის რაიონში სცხოვრობენ ნახშირის დაწვა-დამზადებაში დახელოვნებული [illegible], რომლებიც წინედაც ქმნიდენ არტელებს და ისე ამზადებდენ ნახშირს.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ტყეს იაფათ აძლევს მათ და ამიტომ სატყეო-მრეწველობის ტრესტს შეუძლია გამოიყენოს ისინი.

დამზადებულ ნახშირს ტრესტი ჩამოიტანს თბილისში აქაური ბაზრის დასაკმაყოფილებლათ (თბილისს წელიწადში სჭირდება 200.000 ფუთზე მეტი ნახშირი).

ნახშირის დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე ბაქოში და ერევანში.

წარმოების გაძლიერებისათვის საჭიროა, რომ გომბორის და ლაგოდეხის რაიონებში მოეწყოს წყალით მომუშავე ხე-ტყის სახერხი ქარხნები. ლაგოდეხის ქარხანას მხოლოდ გადაკეთება ესაჭიროება და გომბორში შეიძლება ბაღდადის ცეხის. ნაკეთობის ქარხნის გადმოტანა.

მეფუტკრეობა საქართველოში

მეფუტკრეობა ყოველწლიურად იძლევა 217.000 მან. შემოსავალს.—მეფუტკრეობის რაციონალიზაცია.—მეფუტკრეების კოოპერატიული გაერთიანება.—სკების დამამზადებელი სახელოსნოების მოწყობა.

1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების მიხედვით, საქართველოში დაახლოვებით 70.000 საფუტკრე ოჯახია; აქედან აღმოსავლეთ საქართველოში—30.000, დასავლეთ საქართველოში—20.000, სამხრეთ-ოსეთში—1.000, აჭარისტანში—4—5.000 და აფხაზეთში—14.000. მეფუტკრეობა წელიწადში იძლევა 13.250 ფუთ თაფლს—132.500 მანეთის ღირებულებისა და 2.200 ფუთ ფიჭას—85.000 მან.; სულ მეფუტკრეობის შემოსავალი ყოველწლიურათ უდრის—217.000 მანეთს.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა მეფუტკრეობის განსავითარებლათ საჭირო ღონისძიებების ხუთ წლიანი პერსპექტიული გეგმა, რომელშიაც მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს მეფუტკრეობის რაციონალიზაციას და საფუტკრე ოჯახების რიცხვის გადიდებას. ხუთი წლის განმავლობაში ოჯახთა რიცხვი 70.000 უნდა გაიზარდოს 104.905-დე, ე. ი. 40,8 პროცენტით.

კულტურულ-განმანათლებელი ხასიათის ღონისძიებები

რამდენადაც საქართველოს მოსახლეობა საკმაოთ ვერ იცნობს მეფუტკრეობის რაციონალურათ დაყენების საქმეს, გეგმა პირველ რიგში ითვალისწინებს აგრო-დახმარების ფართოთ განვითარებას, რისთვისაც განზრახულია მცოდნე პირების—სპეციალისტების და ინსტრუქტორების მოწვევა.

ამასთანავე განზრახულია მოკლევადიანი კურსების გახსნა მეფუტკრეთა მოსამზადებლათ. ხუთი წლის განმავლობაში გახსნილი იქნება 101 კურსები, რომელზედაც იმუშავებს 575 კურსანტი.

გეგმაში აგრეთვე გათვალისწინებულია რვა გამოფენის მოწყობა მეფუტკრეობის დარგში, კურსების დაარსება ინსტრუქტორების მოსამზადებლათ და საჩვენებელი საფუტკრეების მოწყობა მეფუტკრეობის რაიონებში.

ორგანიზაციულ-ეკონომიური ხასიათის ღონისძიებანი

გეგმის თანახმად, საქართველოში უნდა დაიწყოს მუშაობა მეფუტკრეების კოოპერაციაში გასაერთიანებლათ. ეს მუშაობა ფრთხილათ იქნება წარმოებული, რადგან მუშაკები ადგილებზე საკმაოთ ვერ იცნობენ ამ საქმეს და შესაძლებელია შეცდომები. განზრახულია თითო კოოპერატივის მოწყობა ყოველ მაზრაში.

მეფუტკრეობის კოოპერაციამ უნდა მოაგვაროს საკითხი მეფუტკრეობის პროდუქტების დამზადებისა და რეალიზაციის შესახებ და უნდა მიაწოდოს მეფუტკრეებს საჭირო ინვენტარი. ამას გარდა, ამ კოოპერაციამ უნდა მოაწყოს ადგილებზე სკების დამამზადებელი სახელოსნოები. გეგმის მიხედვით ასეთი სახელოსნოები უნდა მოეწყოს საქართველოში 6 და თითო სახელოსნო აფხაზეთში და აჭარისტანში.

ამ ღონისძიებების გასატარებლათ კოოპერაციას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში უნდა ჰქონდეს მუდმივი სპეციალური სამიზნო ფონდი 100—150.000 მანეთის რაოდენობით.

ბრძოლა საქონლის ჭირთან

თბილისის მაზრაში

მიმდინარე წელში თბილისის მაზრაში გავრცელებული იყო საქონლის ჭირი და ციმბირის წყლული, რომლებიც უდიდეს ეკონომიურ ზარალს აყენებდენ გლეხთა მეურნეობას, გარდა ამისა ციმბირის წყლული ემუქრებოდა ხალხის ჯანმრთელობასაც.

საქონლის ჭირი პირველათ გაჩნდა ყარაიას რაიონში წარსული წლის ოქტომბერში. მიმდინარე წლის პირველ თებერვლისათვის ამ რაიონში საქონლის ჭირი მოსპობილი იქნა საბეითლო პერსონალის მიერ, რომელმაც ჭირის საწინააღმდეგო აცრა მოახდინა 14,264 სულ საქონელზე.

თითქმის ამავე დროს ჭირი გაჩნდა გარე-კახეთის რაიონში. საბეითლო პერსონალის ენერგიული მუშაობის წყალობით მიმდინარე წლის თებერვლის ბოლო რიცხვებისათვის ჭირი აქაც მოსპობილი იქნა კომბინაციური აცრის (7000 სულ საქონელზე) საშუალებით. ყარაიას რაიონში საქონლის ჭირის მოსასპობათ მუშაობდა 4 ექიმი, ორი ფერშალი და ათი ქვეითა მილიციონერი, გარე კახეთის რაიონში კი სამი ექიმი, სამი ფერშალი და ექვსი ქვეითა მილიციონერი.

დაახლოვებით ივნისის პირველ რიცხვებში ჭირი გაჩნდა სოფელ თელეთში, შემდეგ თელავის მაზრიდან ჭირი გადავიდა სოფელ გომბორში, საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველათ ზემოაღნიშნულ სამ რაიონში თბილისის აღმასკომის საბეითლო ქვე-განყოფილებამ გაგზავნა: თელავის მაზრაში სამი ექიმი, გომბორის რაიონში სამი ექიმი და ერთი ფერშალი.

თელავის მაზრის დაავადმყოფებულ ადგილებში სწარმოებს საქონლის აცრა და ამ დღეებში კარანტინი მოხსნილი იქნება ამ რაიონიდან, თუ ახლო-მახლო სოფლების გამოკვლევა არ აღმოაჩენს დაავადმყოფების ახალ შემთხვევებს.

საქონლის ჭირის გაჩენამდე გომბორის რაიონში გავრცელებული იყო ციმბირის წყლული, რითაც დაიღუპა 7 სული საქონელი. ამას გარდა ივნისის შუა რიცხვებში გომბორის საძოვრებზე გაჩნდა საქონლის ჭირი; მის წინააღმდეგ საბრძოლველათ გლეხებს მიეცათ ჭირის საწინააღმდეგო შრატი, მაგრამ მრავალი საქონელი მაინც დაიღუპა. ამის შემდეგ გადაწყვეტილი იქნა კომბინაციური აცრის მოხდენა. გაიგზავნა ასაცრელი მასალები და ინსტრუმენტები. მანგლის-წალკის რაიონში დღეებში გაიგზავნა ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო მასალა 2000 საქონლისათვის და ჭირის საწინააღმდეგო შრატი 800 ლიტრის რაოდენობით.

ამ მუშაობასთან ერთად სწარმოებდა ბრძოლა ციმბირის წყლულის წინააღმდეგ კომბინაციური აცრის საშუალებით რამაც სასურველი შედეგები გამოიღო და ამ ჟამათ მაზრაში თითქმის არ აქვს ადგილი ციმბირის წყლულით დაავადებას.

გლეხთა ცენტრალურ სახლში

მინდვრებში მუშაობის დამთავრების გამო ამ უკანასკნელ დღეებში გლეხთა ჩამოსვლამ თბილისში საგრძნობლათ იმატა, რის გამოც სახლში ყველა ადგილი დაკავებულია.

მუშაობა ჩვეულებრივად მიმდინარეობს: ყოველდღიურათ ეწყობა მოხსენებები სასოფლო მეურნეობის და სხვა საგლეხო საკითხებზე და საუბრები გლეხებთან. ამ ბოლო ხანებში მოხსენებებს ირგვლივ გამართულ კამათში გლეხობა აქტიურ მონაწილეობას იღებს, რასაც პირველ ხანებში ადგილი არ ჰქონია. ყოველ ორ კვირაში იწვევენ წითელარმიელებს გლეხობასთან შესახვედრათ და მათში საუბრების მოსაწყობათ.

სახლის ადმინისტრაცია ყურადღებას აქცევს აგრეთვე გლეხობის გართობას, რისთვისაც მომავალ კვირიდან განზრახული აქვს მოაწყოს სისტემატიურათ კონცერტები და ორი კვირის შემდეგ გამართავს კინოს.

გლეხების მხრივ შემოტანილ საჩივრებიდან ეხლა უმთავრესი ადგილი უჭირავს საჩივრებს კერძო ვაჭრებისა და ჩარჩების წინააღმდეგ, რომლებიც მათ ართმევენ საქონელს და ჭირნახულს, უდებენ ფულის გატუმრების ვადას და შემდეგ ატყუებენ. სასამართლო და ადმინისტრატიული წესით ფულების აღება მათ ისე უძნელდებათ, რომ მრავალ შემთხვევაში თავს ანებებენ ხოლმე საქმეს. რაც შეეხება საჩივრებს მიწის საკითხების შესახებ, იგი ამ ბოლო დროს ისე მასიურ ხასიათს აღარ ატარებს, როგორც წინად.

აღსანიშნავია ის ყურადღება, რომელსაც იჩენენ სახელმწიფო დაწესებულებები სახლის მიერ გაგზავნილ გლეხებისადმი, ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ არავითარ დაყოვნებას ადგილი არა აქვს და გლეხები კმაყოფილდებიან 24 საათში. არიან ისეთი დაწესებულებებიც, რომლებიც სრულიად არ მოითხოვენ ოფიციალურ მიწერილობას სახლიდან და კმაყოფილდებიან გლეხთა სახლიდან ტელეფონით გადაცემული ცნობებით.

თუ პირველათ გლეხები პირად საქმეებისთვის ჩამოდიოდენ დახმარებისათვის, ეხლა ისინი უმთავრესად ჩამოდიან ისეთ საქმეებზე, როგორიცაა: გზის გაყვანა, წყალის გაყვანა, სკოლების გახსნა და სხვა. ამასთანავე ვინაიდან გლეხობას ემჩნევა მასიური მიდრეკილება სწავლისადმი, ამიტომ მრავალია შემთხვევები მიმართვისა ამ მხრივ დახმარების აღმოჩენის შესახებ ამ მხრივ აღსანიშნავია გლეხობა თელავის და სიღნაღის მაზრებისა, რომლებიც მოითხოვენ ხელოსნურ განათლების მიღებას. სახლის ადმინისტრაციამ თავის მხრივ აღმოუჩინა მათ დახმარება ამაში, აძრა შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე და როგორც გავიგეთ, შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია.

რადგანაც თბილისის მაზრის გლეხობა ქალაქში ჩამოდის უმთავრესად ურმებით და მათთვის კი საკმაო ბინები არ მოიპოვება სახლის გამგეობამ აძრა შუამდგომლობა საქართველოს ცაკის წინაშე რათა თბილისის აღმასკომმა გახსნას ქალაქში სამი სანიმუშო ბაკი ბინებით მაზრის გლეხობისათვის, რაც ხელს შეუწყობს ცენტრალური სახლის განტვირთვას. ამ ბაკების ხარჯთაღრიცხვა უკვე შედგენილია და საკითხი გაირჩევა ცაკის პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე.

საქართველოს სახალხო კომ[illegible] საბჭოში

სახ. კომისართა საბჭომ

ნება დართო რესტორანებს, სასადილოებს, საკონდიტროებს და სხვა სავაჭრო დაწესებულებებს ივაჭრონ ყოველ დღე იმ პირობით, რომ მუშა, მოსამსახურეებს კვირაში მიეცემათ ერთი დასასვენებელი დღე.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს

საბჭოს პრეზიდიუმი დამტკიცებულ იქნა შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ა. ქოიკაშვილი (თავმჯდომარეთ), ი. კალანდაძე და ნ. კიკნაძე (თავმჯდომარის მოადგილეთ), ა. ყამარაული, კ. მოდებაძე, პევოვი, ს. ქ[illegible] წარმომადგენელი აჭარიდან, აფხაზეთიდან და სამხრეთ-ოსეთიდან.

იუსტიციის სახ. კომისარის

მოადგილეთ დაინიშნა ამხ. კ. ოკუჯავა.

სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით

მაჩაბლის (სერგეევის) ქ. მდებარე სახლი № 8, სადაც მოთავსებულია გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის, საქ. გზატკეცილების და ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოები, ჩამოერთვა მეპატრონეს და გადაეცა გზათა უწყებას.

ბრძოლა ბოროტმოქმედებთან

მოქ. ბეზსუდნოვის დაპატიმრება

(ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის გეგმათა გარეშე ინსპექციას მიმდინარე წლის ივნისში უნდა მოეხდინა ბაქოს სხვადასხვა სატრანსპორტო ორგანიზაციების გამოკვლევა; სხვათა შორის გამოკვლეული უნდა ყოფილიყო შუა-აზიის ბაქოს ქალაქის სადგური. მაგრამ აღნიშნული სადგურის გამგემ, ვინმე ბეზსუდნოვმა უფლება არ მისცა ინსპექტორს გამოეკვლია სადგურის მუშაობა, მიუხედავათ იმისა, რომ ინსპექტორის მიერ წარდგენილი იყო სათანადო მანდატები.

საკითხის ცენტრთან და სათანადო ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ ინსპექტორი ხელახლად გაემგზავრა ბაქოში, და ამ შემთხვევაში მიუხედავად წინააღმდეგობისა, რომელიც გამოიჩინა გამგე ბეზსუდნოვმა, გამოკვლევა მაინც მოხდენილ იქნა და აღმოჩნდა მთელი რიგი ბოროტ-მოქმედებებისა.

ქალაქის სადგურში.

მოქ. ბეზსუდნოვი ერთდროისმავე დროს იყო სადგურის უფროსი და კერძო არტელის რწმუნებულიც; ამასთანავე ამ ორ ორგანიზაციის შორის ადგილი ჰქონდა კომერციულ ურთიერთობას. სადგურის საქმეები აწეწილია, რადგან ბეზსუდნოვი, რომელიც მთელ თავის დროს ანდომებდა კომერციულ ოპერაციებს, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ქალაქის სადგურს.

კომერციულ საგენტოში.

საგენტომ გადაუხვია თავის პირდაპირ მოვალეობას. მოქ. ბეზსუდნოვის მიერ კომერციული საგენტოს თანხები გამოყენებული იყო არტელის და პირადი ინტერესების სასარგებლოდ. მოქ. ბეზსუდნოვის მიერ ქალ. სადგურის სახელით შესყიდული იყო 85,000 არშინი ნარმა, რომელიც მან მიყიდა კერძო პირებს და არტელს.

ამასთანავე არტელის საშუალებით საგენტოს მიერ დამზადებული იყო სამი ვაგონი კაკალი, რომელიც დაჯდა 3000 მანეთი, საგენტოს ანგარიშში კი ჩაწერილია 7000 მანეთი.

სულ დამზადებულია 336,000 მანეთის საქონელი, მაგრამ დოკუმენტები აღმოჩნდა მხოლოდ 27.000 მანეთის, დანარჩენი გადაგზავნილია გზის გამგეობაში. საქონლის დასამზადებელი თანხები 200,000 მან. რაოდენობით იყო მოქ. ბეზსუდნოვის სრულ და უკონტროლო განკარგულებაში.

24 ივლისს მოქ. ბეზსუდნოვი აპირებდა შვებულებაში წასვლას, მაგრამ ორი საათის წინ მატარებლის წასვლამდე ის დაპატიმრებული იქნა სატრანსპორტო-საგანგებო კომისიის მიერ, მის დამქაშებთან მოქ. ვაკართან და კობიაკოვთან ერთად.

მისი დაპატიმრების შემდეგ აღმოჩენილი იქნა მისი პირადი მიწერ-მოწერა, საიდანაც სჩანს, რომ მის წინადადებას აძლევდენ შესულიყო კერძო სააქციონერო საზოგადოებაში და ეყიდა 100,000 მანეთის აქციები.

ბეზსუდნოვისადმი მიმართულ წერილში მისი ცოლი სწერს, რომ აპირებს სახლის ყიდვას ანაპაში, სადაც ის სააგარაკოდ იმყოფება; ამასთანავე ის ურჩევს ქმარს გადასდოს ავტომობილის ყიდვა, რადგან ამას ყურადღებას მიაქცევენ და სთხოვს, რომ საერთოდ ფრთხილად იყოს, რადგან ის მას იცნობს—„ყველაფრის აღება სულ ერთია მაინც არ შეიძლება, ჩავარდნა კი ადვილად შესაძლებელია". გაფრთხილებამ დაიგვიანა.

ყველა მასალები ამ საქმის შესახებ გადაეგზავნა ბაქოს სატრანსპორტო საგანგებო კომისიას.

ქრონიკა

— **უცხოელ მასწავლებელთა ჩამოსვლა.** 28 აგვისტოს რუსეთიდან კავკავში ჩამოვა უცხოელ მასწავლებელთა ჯგუფი, რიცხვით 25 კაცი. 29 აგვისტოს ისინი ჩამოვლენ თბილისში, სადაც დარჩებიან 2—3 დღე.

— **საზოგადო სამუშაოები.** ა.-კავკასიაში წარმოებულ და საწარმოებელ საზოგადო სამუშაოებისათვის დამატებით გადადებულია 100 ათასი მან. აქედან საქართველოს უწევს 43 ათასი მან.

— **სამკურნალო საქმე.** ჯანსახკომს განზრახვა აქვს თბილისში გახსნას ცანდეროვის (წყალით და სინათლით სამკურნალო) ინსტიტუტი.

— **ტრამვაის ახალი რონოდები.** ტრამვაის დირექციამ მოსკოვში შეუკვეთა ტრამვაის 25 ახალი რონოდის დამზადება.

— **ტრამვაის დირექციამ** მიმდინარე წელში ტრამვაის საჭიროებისათვის სხვადასხვა ორგანიზაციებს დაუკვეთა 800 ათასი მან. სხვადასხვა მასალა-საქონლის დამზადება.

— **ლოზუნგები.** მორიგი 1-ლი ტერიტორიალური შეკრებისათვის პოლიტგანყოფილებამ დაამზადა ლოზუნგები ყველა ენებზე, რომლებიც დაიგზავნება ადგილებზე.

— **ჯიშიანი ცხენები.** საკავშირო მიწად-მოქ. კომისარიატმა საქ. ცხენთა საჯიშოების განყოფილებას ჯიშიან ცხენების მოსაშენებლად მისცა გრძელვადიანი სესხი 4 ათასი მან.

— **პენსიონერები.** 1 აგვისტოსათვის თბილისის დამზღვევ სალაროს ხარჯზე ითვლებოდა 771 პენსიონერი.

— **საორთქლე ქვაბები.** შრომის დაცვის განყოფილებამ დაამთავრა მუხრანში, გორში და ბორჯომში და სხვა ადგილებში საორთქლე ქვაბების შემოწმება.

— **შემოდგომაზე დოლი არ იქნება.** მიწად-მოქ. კომისარიატის დადგენილებით მიმდინარე შემოდგომაზე თბილისში დოლი არ იქნება.

— **თესლების შეგროვება.** მიწადმოქ. კომისარიატს განზრახული აქვს ბაღდადის სატყეოებში შეაგროვოს წაბლის, წიფელის და რცხილის თესლები თბილისის გარშემო ტყის მოსაშენებლად.

— **დუშეთის გლეხკომების გამოკვლევა,** უკვე დაასრულა სოც. უზრ. კომისარიატის მიერ წარგზავნილმა რწმუნებულმა. გამოკვლევამ გამოარკვია მთელ რიგ გლეხკომებში დიდი ბოროტმოქმედებანი.

— **გლეხკომების საქმიანობის გამოსაკვლევად** სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა წარგზავნა თავის წარმომადგენელი ოზურგეთის მაზრაში.

— **მომუშავე ტრამვაის რონოდების რიცხვი** თბილისში ამჟამად აღწევს 111. აქედან 103 რონოდა სამგზავროა.

— **მუშათა ჯანმრთელობისათვის.** შრომის სახ. კომისარიატმა ჰიგიენურ ლაბორატორიისათვის შეიძინა საჭირო ხელსაწყოების ნაწილი.

ხელოვნება

— **სამხედრო კონცერტი.** ამ დღეებში წითელი არმიისა და ფლოტის კლუბში უვადო შვებულებაში მიმავალ წითელარმიელებისათვის გაიმართება გრანდიოზული სამხედრო კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქალაქში მყოფი ყველა სამხედრო ორკესტრები—160 კაცი.

— **ირმა დუნკანის საღამო.** დღეს ქართულ კლუბში გაიმართება ირმა დუნკანის კიდევ ერთი საღამო ახალი პროგრამით.

— **მუშა-მსახიობის იუბილე.** განზრახულია ხაშურში გადაუხადონ იუბილე დეპოს მემანქანეს ნ. პირაძეს, მისი სცენაზე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— **მუსიკალურ-ვოკალური ასოციაცია.** სარაჯიშვილის სახელობის ხელოვნების სახლთან არსდება მუსიკალურ-ვოკალური ასოციაცია—სექციებით: საოპერო, კამერული, საოპერეტო, საგუნდო და სხვა. ჩაწერა სწარმოებს ყოველ დღე დილის 12—2 საათამდე და საღ. 5—7 საათამდე ამხ. გ. ა. გულულოვა-იდულთან, რუსთაველის პროსპექტი № 41, ბინა 2.

— **რუსთაველის თეატრი.** საზაფხულო დასვენების შემდეგ მუშაობა განახლდება 25 აგვისტოს. ამ დღისთვის გამოწვეულია სახელმწიფო დრამის ყველა მსახიობები.

— **განათლების მუშაკთა კლუბი.** კინო—„ევროპის ჰარამხანის ტყვე ქალი" დრამა 9 ნაწილად.

შემთხვევები

— **ცოლის მოკვლა.** გუშინ, დაახლოვებით დილის 11 საათზე ნიკოლოზის ქ. № 93, მოქ. გრიგოლ სტეფანეს ძე გრიბენიუკმა მოკლა თავისი ცოლი, მკვლელობა მოხდა რომანიულ ნიადაგზე. მკვლელი შეიპყრეს.

— **ცეცხლი.** 20 აგვისტოს დილის 7 საათზე ანდრეევის ქ. № 170 მოქ. ფირნიევის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— **ქურდი ქალი.** 20 აგვისტოს შეიპყრეს დარიკო ვართანაძე, რომელსაც ბრალდება ხანუმ ბარამიანცის ბინის გაქურდვა (შტაბის ქ. № 3).

— **მორგებული გასაღების** საშუალებით 20 აგვ. შუშის ქ. № 4 გაქურდეს ვლადიმერ ზენაცის ბინა დაზარალებულის თბილისში არყოფნის გამო. წაღებულ ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

— **შეპყრობა.** 20 აგვ. ანასტასიევის ქ. № 13, გაქურდეს ვერა შაპოვნიკოვის ბინა, ქურდი შეიპყრეს მეეზოვე ავანიკანცმა.

— **სალაროს გაქურდვა.** 17 აგვისტოს გაქურდეს დოლომის თემ-აღმასკომის სალარო, წაიღეს 70 მან. ფული. ბოროტმოქმედი ჯერ არ არის აღმოჩენილი.

— **ყარაიაში** გაქურდეს 16 აგვისტოს მოქ. ისმაილ გუსეინოვის ფეხსაცმელების სამკერვალო. წაღებულია [illegible] მან. საქონელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

გვიხსენით საშინელი მტვერისგან და სიბინძურისაგან

(ალმასკომის და გზათა სამმართველოს საყურადღებოთ).

კომუნალური ქუჩა, დაწყებული ტყავ-ტრესტის მთავარ კანტორიდან დამთავრებული ტყავის ქარხნამდე სავსეა საშინელი სიბინძურით: ნიაღვრის დროს ჩამოთრეულ ლოდებით, მტვერით და სხვა. გაწმენდილია მხოლოდ ტრამვაის ლიანდაგი. ხშირად ეტლბსაც უჭირს გავლა. თუ ქარია დაგიფაროს ღმერთმა—თვალს ვერ გაახელ. აქაური მცხოვრებლებს და მუშები ამით დიდათ შეწუხებული არიან.

ჩვენ არ ვიცით თუ ვის ეკუთვნის კომუნალური ქუჩა. იქნებ გაზეთში მაინც ამოიკითხოს ან ალმასკომმა, ან გზათა სამმართველომ ეს ამბავი და რომელსაც ეკუთვნის ეს მან დაგვიხსნას ამ საშინელი სიბინძურე-მტვერისაგან.

მუშკორი **ნაპერწკალი.**

ეს საბავშვო სახლი ვერ დგას თავის დონეზე

წალვერიდან ერთი ვერსის მოშორებით, ნაძვის ტყეში, აშენებულია სახლი, სადაც წინეთ არჯევანიძის სატყეო სკოლა ყოფილა. ეხლა აქ მოთავსებულია 34 ბავშვი.

ეს ბავშვები სისუსტის გამო გამოუგზავნიათ აქ ტფილისიდან.

მიუხედავათ შესანიშნავი ჰაერისა და ადგილმდებარეობის სიმაღლისა, მათი მდგომარეობა ვერ არის სათანადოთ დაყენებული.

ამ სუსტი ბავშვების კვება ვერ სდგას თავის სიმაღლეზე; გარდა ამისა, მათი მდგომარეობა ბინის მხრით ძალიან ცუდია. მაგალითად, ერთ საშუალო ოთახში მოთავსებულია 15 ბავშვი, რაც ჰიგიენის მხრით ცუდათ მოქმედობს მათ ჯანმრთელობაზე. საწოლები ერთი-მეორეზეა გამწკრივებული და უსუფთაობაც ემჩნევა ოთახს. აქ მათთვის არ არის ექიმი.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 34 ბავშვის მოსავლელად ერთობ გაბერილი შტატი არსებობს. გამგეს გარდა, ამ ორივე სქესის ბავშვებს ოთხი მასწავლებელი, დიასახლისი, მზარეული და ერთი დარაჯი ჰყავთ. ეს კი იწვევს ზედმეტ ხარჯებს, რაც გავლენას ახდენს ბავშვების კვებაზე.

საჭიროა ბავშვების გამოკვებას ყურადღება მიექცეს, რომ საავარაკო დასვენებამ თავისი შედეგი გამოიღოს.

მუშკორი ყ—ნი.

კარგ მუშებს ვაფასებთ

მთავარ სახელოსნოს სამჭედლოს საამქრო ისე მიყრილ-მოყრილი იყო ძველი რკინებით, რომ გავლა თითქმის შეუძლებელი იყო. შარშან კვირეულიც მოვაწყვეთ, რომ მიგველაგებია. ხელმძღვანელები ბევრი გვყავს, მაგრამ საქმე მაინც მოიკოჭლებს; ამ ცხელ საამქროში კვირაში ორი გამგე იცვლება და გულის დამდები გამგე ამ საამქროს არ ღირსებია. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში გამოიჩინა უფროსმა მუშამ ამხ. პ. კარკუსაშვილმა და შეძლებისდაგვარად მიალაგა საამქრო. უფრო მეტი შეუძლია მას, მაგრამ ხელს არავინ უწყობს.

მუშა **ი. ჯარეიშვილი.**

ვიხრჩობით ბოლში

(კინომრეწველობის საზოგადოების საყურადღებოდ)

კინო სპარტაკში უმეტეს ნაწილად ფოსტის მუშა-მოსამსახურენი დაიარებიან.

მაგრამ ვაი იქ ყოფნას და კინოსურათის ცქერას. ხალხი პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში არის. იქვე კინო სპარტაკის თავზე რაღაც ბოლი ამოდის, რომელიც მაყურებელთ შიგ სახეში ხვდება, უმეტესად იმ შემთხვევაში თუ სიო უბერავს მაყურებელთა მიმართულებით. საჭიროა ეს ბოლი ან სულ მოისპოს ანდა როგორმე მიმართულება სხვა მხარეზე მისცენ.

ა. გვინჩიძე.

რაც გვეკუთვნის, უნდა მოგვეცეს

(შრომის სახკომატის საყურადღებოდ)

პოლიგრაფტრესტის მე-2-რე სტამბის მუშებს ამა წლ. 1-ლ აპრილიდან დაპირება გვქონდა ადმინისტრაციისგან, რომ ნორმის ზევით ვინც ჩვენგანი რამეს გააკეთებდა (ვისაც ექნებოდა გადამუშავება) მიიღებდა ზედმეტ ჯილდოს.

სტამბის ექსპედენციის მუშები შეუდგენ ენერგიულ მუშაობას, რომ აეწყოთ ნორმაზე მეტი, რათა მატერიალურადაც წინ წაწეულიყვნენ. **მართლაც დაამუშავეს ნორმაზე საგრძნობლად მეტი.**

მაგრამ 2-ე სტამბის ადმინისტრაცია—ზედმეტი მუშაობის გასამრჯელოს გაღებაზე უარს გვეუბნება; მისცა ასეთი ჯილდო მხოლოდ ტექსტზე მომუშავეთ.

ეს არ არის სამართლიანი და ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ დამსახურებულ ჯილდოს.

აქაური მუშები.

გამოგზავნილი წერილებიდან

ფიზკულტურის წრე არა გვყავს.

წუმწუმის ქარხანაში დღემდე არა გვყავს ტანთვარჯიშობის წრე და არც არაფერი კეთდება ჩვენში ამ მხრივ. ტანთვარჯიშობაში მონაწილეობის მიხაღებად მზად არის ჩვენი მუშების და მუშა-ქალების მთელი 50 პროცენტი. მაგრამ საჭირო თანხა ჩვენ არა გვაქვს. ადგილკომი გვაძლევს რაღაც სამ მანეთს.

ადმინისტრაცია და ქიმიკოსთა კავშირი არ გვეხმარება.

ქიმიკოსთა კავშირო, მიიღე ზომები. მუშკორი **გიზელი.**

საშიშროების მოლოდინში

(თამბაქოს ტრესტის საყურადღებოდ)

წუმწუმის ქარხანაში (25 ოქტომბრის სახ.) ამ ბოლო ხანებში ჩვენი ქარხნის საწყობები გავსებულია დამზადებული წუმწუმით. ორი დიდი საწყობი და შესახვევი განყოფილება ისეა გაჭედილი წუმწუმის კოლოფებით, რომ ნემსიც ვერსად დაეტევა. ჩვენ ვამზადებთ, თქვენ კი არ მიგაქვთ. შეიძლება ხანძარიც გაგვიჩნდეს. მუშა **მეწუმწუმე.**

კინო „ზაჰეს“-ში

„ზაჰეს“-ში გვაქვს მოწყობილი კინო. ხშირად კვირაში ორჯერ მაინც გვიჩვენებენ სურათებს, მაგრამ ვაი ამისთანა ჩვენებას! ხშირად ლენტები წყდება. კინო-აპარატი გვიფუჭდება, რადგან მასზე მუშაობენ უვიცი პირები. სურათებიც თავის ღირსებით ძალიან მჩატეა.

მოგვეცით კარგი კინო-აპარატი, მასზე კარგი მომუშავე და სურათებიც. მუშკორი **შანმანი**

მეტის ატანა შეუძლებელია.

პოდგორის მე-2 გასავალში (1-ლი რაიონი) სახ. № 1-ში ცხოვრობს ვინმე ელისაბედ სოვდაგაროვისა, რომელიც თავისი უმსგავსო ხაქციელით დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევს ამ სახლის მდგმურებს და არც მეზობლებს.

ჰკუაზე მოიყვანეთ ეს გაბოროტებული დედაკაცი.

მუშფაკელი **შ. ბიბინაშვილი.**

ნუ თუ დასაშვებია ეს?

(ქალ. თბ. უბ. კავშირის და მთ. სახ. ადგილკომის საყურადღებოთ.)

ქალ. თბ. მთავარ სახელოსნოში მექვაბეთა საამქროში მუშაობს კოხტა ერაძე, რომელიც თავის სამსახურის შემდეგ ღებულობს კერძო საქმეებს და ეწევა ფოდრაჩიკობას. მას ჰყავს აყვანილი მუშები, რომელნიც არ არიან კავშირის წევრები და ამუშავებს მათ თავის სურვილისამებრ.

მუშკორი ჟოკ—ხი.

სოფელი

„უკანონო“ შობილი

(სოფლის ყოფა ცხოვრებიდან)

— უი, შენ კი დაგიბნელდა მზე, შე თვალებ დასადგომო! რაღა ჭკნათ სად გამოვყოთ თავი ამის შემდეგ. ვის რა ვუთხრათ, ვის შევხედოთ სწორათ თვალებში?

ჩასჩიჩინებდენ ახალგაზრდა დედას ახლობელი ნათესავი ქალები.

ბავშვი კი ჭყაოდა, ბავშვი ტიროდა მოუვლელობით. არავის ეცალა მისთვის. მხოლოდ დრო-გამოშვებით გადახედავდა ბებია ჩვარს და ცრემლმორეული ჩასჩურჩულებდა.

„შენ გენაცვალოს შენი ბებია, შე საცოდავ დღეს გაჩენილო! დედაშენს ადრე თეძოები რათ არ დაემტვრა, სანამ შენს უბედურებას შემასწრებდა!“

შემდეგ ისევ მიუბრუნდებოდა ენა ჩავარდნილ, თეთრ სუდარასავით გაფითრებულ მოუშუშებელ ტკივილებისაგან მწვანე სახე ბავშვის დედას და წყევლა-კრულვით დასძახოდა ლოგინში:

— რა ღვთის წყრომა მოგვავლინე, რა უბედურ დღეს შეასწარი, შე არ გასაშვებო, საწყალი მამაშენი და ძმები?

მაგრამ დრო აღარ ითმენდა. სანამ გათენდებოდა, სანამ ახლო მეზობელს ჩაეწვეთებოდა ყურში მომხდარი ამბავი, საჭირო იყო საქმის მოვლა, უბედურებისაგან თავის დასაღწევ საშუალების გამოძებნა.

სახლის აივანზე, მთვარის სინათლეში უკვე გამართული იყო საიდუმლო თათბირი. დიდხანს ჩურჩულებდენ ლოყაზე ხელის რტყმევით თავზარდაცემული შინაური ქალები.

ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო. პაწაწკინტელა არსებას საჩქაროთ ხელი წამოავლეს. უკანასკნელათ მიუწვინეს ცრემლებში გაღვრილ დედას და პირში ძუძუ ჩაუტენეს.

ბებია ამასობაში ახალ ჩვრებს ამზადებდა. იქვე მის გვერდით, იატაკზე მოფრთხილი ხელის კანკალით სწერდა ბავშის დეიდა:

„დაიბადა ამა წლის კვირკობისთვის ოცდა სამში. მოუნათლავია“... ბიჭუნამ ძუძუს წოვით გული იჯერა. ის იყო მიითვლიმა დედის გულზე, რომ მას ხელი დასტაცეს, საჩქაროთ დაახვიეს ჩვრებში, შიგვე ჩაატანეს დეიდას წერილი და გაუყენეს გზას ცაგერის მიმართულებით.

ახალგაზრდა დედა სიმწარისაგან თითებს იჭამდა, ბებია მოთქმითა და ტირილით თავს არტყამდა აივნის სვეტზე....

მეორე დღეს, დილა ადრიანათ ნ. ჩაკვეტაძეს ბავშის ტირილი შემოესმა. ჯერ კიდევ ბნელოდა, გაალო კარები და ფეხები რაღაც თეთრში გახვეულ რბილ არსებას წამოედვა...

იმდღესვე ეცნობა ლეჩხუმის სამაზრო მილიციას. გაფაციცებით შეუდგნენ დაუპატიჟებელ ბიჭუნას მომყვანთა ძებნას:

„ბოროტმოქმედი“ დედის ოჯახი მალე აღმოაჩინეს. ან კი რა დაემალებოდა სოფლის თვალსა და ყურს. ეხლა ის სასამართლოს წინაშე წარსდგება.

ჭორიკანა მეზობლებმა მას უკვე გამოუტანა განაჩენი. ახალგაზრდა დედას „სირცხვილით“ თვალი აღარ გაეხილება.

ვნახოთ რას იტყვის ამის შესახებ საბჭოთა სასამართლო.

ა. ეუშელი.

უწყლო სოფელი

დილომის გლეხები უწყლოობის გამო უკიდურეს მდგომარეობაში არიან. ხშირად მთელი დღეობით სოფელი უწყლოდაა დარჩენილი.

მერუეები ქურდულად გადაუგდებენ ხოლმე წყალს ყანების სარწყავად. სასმელი წყალის ამოსაღებად მცხოვრებლები დილის 3—4 საათზე მიეშურებიან მდინარეებისაკენ, ვინაიდან დღისით საქონელი სვრის რუებს.

წყლის ამოღების დროს დიდი, თვალუწვდენი კუდები იმართება.

დილომიდან 4 ვერსის დაშორებით არის წყლის სათავე. ამ წყალს სავსებით შეუძლიან დააკმაყოფილოს მთელი სოფელი. დილმელებმა მთავრობის დახმარებით უნდა დაიწყონ აქედან წყლის ხიდენის გამოყვანა.

საამისო თანხის გაღებას მარტო სოფელი ვერ შესძლებს, მაგრამ ტექნიკურ ძალას თუ მიაწოდებს მთავრობა, დილმელები მზად არიან ამ მნიშვნელოვან საქმის მოსაგვარებლად.

ი. ლლონტი.

ბოროტმოქმედების კვალ-დაკვალ

დას. საქ. პროკურატურა ამით აცნობებს გაზ. „კომუნისტის“ რედაქციას, რომ ა/ წ. 9 აგვისტოს № 181 (1836) გაზ. „კომუნისტ“-ში მოთავსებულ წერილის შესახებ, სათაურით: „ამოსდეთ ლაგამი გ. ფაცურიას“, პროკურატურის მიერ მიღებულია სათანადო ზომები.

დას. საქ. პროკურორი (ხელის მოწერა).

მდივანი (ხელის მოწერა).

წერილებიდან

სამიკიტნო სადგ. ძირულაში. ჩვენი სადგურის ბუფეტი მხოლოდ სახელს ატარებს ბუფეტისას. საქმით აქ რომ ამბები ხდება, სამიკიტნოშიაც იშვიათათ ნახავთ იმის მზგავსს. არის ერთი ქეიფი დროს ტარება, ღვინით გალეშილი ხალხი მოსვენებას არ აძლევს მგზავრებს, განსაკუთრებით ქალებს. უკანასკნელნი იძულებულნი არიან მთელი ღამის განმავლობაში ბაქანზე ელოდონ მატარებელს.

გალიან.

დუშეთის ბავშვები უექიმოთ. მთელს ქალაქში მოდებულია ბავშთა სხვადასხვანაირი სნეულებები. აქ არის ერთი გამოცდილი ექიმი იურგენსი, რომელიც დამზღვევ სალაროს საექიმო განყოფილებას განაგებს. მას აკრძალული აქვს კერძო ავათმყოფების მიღება და სახლებში სიარული. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება და მოწვეულ იქნას დუშეთის ბავშვებისათვის შინაგან სნეულებათა და ბავშთა ავადმყოფობის ექიმი.

თვალი.

ნადირმა აგვიკლო. ლეჩხუმის მაზრის სოფელ ნაკურალეშის გლეხები, როგორც მაღლობი და მოუსავლიანი ადგილის მცხოვრებნი, მეტნაწილად საქონლის მოშენებას მისდევენ. ამ ზაფხულზე სოფელს შემოეჩვია ნადირი და მუსრს ავლებს ოთხფეხ პირუტყვს. მხეცები იმდენათ გათამამდენ, რომ ადამიანსაც აღარ ეპუება და კაცის ტყეში შესვლაც სახიფათო შეიქნა. საჭიროა მაზრიდან შეიარაღებულ ძალის მოშველება.

ლაზრელი.

ბაყაყების კონცერტი ხელს გვიშლის. სოფ. სეფიეთის კლუბი ისედაც უნუგეშო მდგომარეობაშია. არ ვარგა სახურავი, არა გვაქვს სკამები და სხვა აუცილებელი მოწყობილობა. თუ მოვახერხეთ და წარმოდგენა დავდგით, აქვე მდებარე ჭაობების ბაყაყებისგან მოსვენება აღარაა. მათი ყიყინი ისეთი სიძლიერით შემოდის დარბაზში, რომ სცენიდან აღარაფერი ისმის. კარგახანია ამოსაშრობი იყო ეს ჭაობი.

ბ. ეკაშვილი.

მოკლებული ვართ საექიმო დახმარებას. ხეთის თემის (ზუგ. მ.) მცხოვრებთა რაოდენობა 9 ათას სულამდე აღწევს. სოფლის მდებარეობა ისეთია, რომ მაგრათ აქვს გადგმული ფესვები მალარიას და მასზე აღმოცენებულ სხვადასხვა სნეულებებს. მაგრამ რომ ფერშალი არ დაგვინიშნა იძულებული გავხდით ჩვენი ხარჯით მოგვეწვია ექიმის თანაშემწე, რომელიც ამ დღეებში სტოვებს ხეთის თემს. ზუგდიდის ჯანმრთელობის განყოფილებამ ეხლა მაინც უნდა დააკმაყოფილოს ხეთის გლეხების მოთხოვნილება.

აკ. ივლიანიშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **საბავშო აგარაკი.** აჭარის სახკომსაბჭომ გადასწყვიტა მომავალი წლისათვის გაანთავისუფლოს ქობულეთში ერთერთი აგარაკი საბავშვო სახლების გადასაყვანად.

— **ალმასკომების შენობების** შესაკეთებლად ზუგდიდის სამალმასკომს განზრახული აქვს მომავალი წლის განმავლობაში დახარჯოს 7.600 მანეთი.

— **გლეხკომის ფონდი.** მუხრანის გლეხკომს ამჟამად აქვს გახსნილი ფურნე და ორი წისქვილი. გლეხკომი ამუშავებს აგრეთვე ერთ ბაღს.

— **ოზურგეთის მაზრის** გლეხკომების გამოსაკვლევად თბილისიდან ჩამოვიდა სოც. უზრუნველყოფის წარმომადგენელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 26

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სახელმწიფო გამომცემლობისათვის სასწავლო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის მონოპოლიის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1, საქართველოს ს. ს. რ. სოციალური აღზრდისა და პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველოს მიერ მოწონებული და ნებადართული ყველა სასწავლო წიგნისა და სახელმძღვანელოს გამოცემის მონოპოლია მიენიჭოს საქართველოს ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო გამომცემლობას.

2. ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოს და აგრეთვე კერძო პირს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული სასწავლო წიგნების და სახელმძღვანელოების გამოცემა შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო გამომცემლობის ნებართვით.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე:

შ. ელიავა.

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი:

ალ. სალარიძე.

1925 წ. აგვისტოს 17.

თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 22 აგვისტოს, დილის 10 საათზე თ. კ. სამდივნოში მოწვეულია.

თ. კ. პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის.

თ. კ. მდივანი—ასრიბეკოვი.

— თ. კ. აღმრიცხ.-გამნაწ. განყოფ. წინადადებას აძლევს ამხ. გ. დევდარიანს, მუსილიტინერა, გ. ჩხენკელს და კონსტანტინე ბურკაძეს—სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ამხ.—ტრაპაიძესთან.

— არსრაიკომი წინადადებას აძლევს ყველა წევრებსა და კანდიდატებს, რომლებიც ჩარიცხულ არიან მეორე ბატალიონის 1 და 2 როტაში, აგრეთვე უჯრედების სამხ. ორგანიზატორებს გამოცხადდენ კვირას, 23 აგვისტოს, დილის 10 საათზე ლენინის სახ. სტადიონზე.

დასწრება სავალდებულოა თავის დროზე.

მდივანი—**მელაძე.**

ბატალიონის უფროსი—**ხელსკი-გლაზნიევი.**

— დღეს, 22 აგვისტოს, საღამოს 6 ს. მესამე რაიკომის პარტკლუბში მოწვეულია იმ საშეფო საზოგადოებათა ადგილობრივ გამგეობების კონფერენცია, რომელთაც შეფობა აქვთ აღებული ყარაიაზის რაიონის სოფლებზე.

დასწრება ზემოაღნიშნულ გამგეობათა ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

ტირაჟი—20.291

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი შალვა, ელისაბედი და თალიკო ტატიშვილები, ნადეჟდა და ანდრო სარაჯიშვილები, თამარა და ვასო თოფურიძეები შვილის შვილები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს 19 აგვისტოს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ყოფ. ალექსანდროვის საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი პირველთათვის დედა მეორეთათვის სიდედრი

მარიამ ქაიხოსროს ასული ტატიშვილისა

ცხედრის გამოსვენება მოხდება ყოფ. ალექსანდროვის საავადმყოფოდან, შაბათს 22 აგვისტოს, 4 საათზე და დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 2342 1—1

ქსენია ნიკოლოზ კორიავას ასული თოდუას

ჭირისუფალნი დიდ მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ, რომელთაც პატივი სცეს გარდაცვალებულს.

№ 2341 1—1

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მომარაგების უფროსის სამმართველო

(თბილისი, არსენ ჯორჯიაშვილის ქ. 10)

აცხადებს, რომ ა. წ. 3 სექტემბრისათვის დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

თბილისში 30.000 ფუთი კართოფილის და 10.000 ფუთი დაძმარულ კომბოსტოს მისაწოდებლად

ჩაბარება უნდა მოხდეს ოქტომბრიდან ივლისამდე ყოველთვიურად თანასწორ ნაწილად კონტრაგენტის საწყობიდან ჯარების ნაწილთა მოთხოვნილების მიხედვით.

ორგანიზაციები, დაწესებულებები და კერძო პირები, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობაში მოწვეული არიან გამოცხადდენ. ან თავიანთი წარმომადგენლების სახით ან შემოიტანონ არა უგვიანეს ვაჭრობის დღის დილის 10 საათისა საღერბო გადასახადგადახდილი განცხადება, დახურულ კონვერტებში ზედწარწერით: „3 სექტემბერს დანიშნულ ვაჭრობისათვის კართოფილის და დაძმარულ კომბოსტოს მისაწოდებლად“. ამასთანავე დაცული უნდა იქნას ყველა წესები, რომელიც გათვალისწინებულია ინსტრუქციის მე-5 მუხლში სახელმწიფო იჯარის და მაწოდების ასაღებად საჯარო ვაჭრობის შესახებ.

ვაჭრობისათვის წარმოდგენილ განცხადებებში უნდა იქნას აღნიშნული მიწოდების პირობები და კართოფილის და დამჟავებულ კომბოსტოს ფასი ფუთობით და განცხადების წარმომდგენის მისამართი.

როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად წარმოდგენილ განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს დოკუმენტი, რომელიც ამოწმებს ვაჭრობაში მონაწილეს პიროვნებას, ქვითარი სახელმწიფო ბანკის ერთ-ერთ სალაროში კავკასიის წითელდროშოვან არმიის მომარაგების უფროსის სახელზე განცხადებული თანხის 10 პროც.-ის შეტანის შესახებ ან აღნიშნულ თანხის მაგიერ წარმოდგენილი უნდა იქნას დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ვაჭრობაში მონაწილე პირს აქვს ესა თუ ის უძრავი საკუთრება და ხელწერილი იმის შესახებ, რომ ეს პირი ვალდებულია ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას თუ მოწოდება დარჩება განცხადების შემომტან პირს და დამტკიცებული იქნება.

სახელმწიფო წარმოებანი და კოოპერატიული ორგანიზაციები რესპუბლიკის და ოლქის მასშტაბით თავისუფლდებიან საწინდრის შემოტანისაგან.

იჯარის კონდიციების და პირობების გაცნობა შეიძლება კავკასიის წითელდროშოვან არმიის მომარაგების უფროსის სამმართველოს სასურსათო განყოფილებაში ყოველ დღე 18—14 ნახ. საათამდე ა. წ. 24 აგვისტოდან.

კავკასიის წითელდროშოვან

ნ. 1630 1—1. არმიის მომარაგების უფროსი—ზაიცევი.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს

შეჯიბრებას

1925 წ. 29 აგვისტოს შემდეგი სამუშაოს ნარდათ გასაცემად

ტიწობის (ბეტონის) სამუშაოები ა. / კ. რკინის გზების მე-276 ვერსზე, ზაჰესის მე-2 საამშენებლო უბანზე **რკინის გზის ვიადუკის ბურჯების და საყრდნობთა ასაგებად,** დაახლოვებით 282 კუბ. საჟ., მზა ქვაბანით და ზაჰესის მასალით.

სამუშაო უნდა დასრულდეს

თვე-ნახევრის განმავლობაში

აღნიშნულ სამუშაოს აღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს დაწესებულ ფორმის ბლანკზე დაწერილი, საღერბო და საკანცელარიო გადასახადით დაბეგრილი წერილობითი განცხადება დახურულ კონვერტში, შემდეგი წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 29 აგვისტოს შეჯიბრებისათვის“. ამავე დღეს ნაშუადღევის ორ საათზე გაიხსნება კონვერტები.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი: თანახმად ზაჰესკომის 1924 წლ. 31 ოქტომბრის დადგენილებისა, რაიც დადასტურებულია ა. / კ. ფინსახკომის რწმუნებულის 1924 წლ. 4 ნოემბრის მოწერილობით № 30516, ამ სამუშაოსთან დაკავშირებულ ყოველგვარ გადასახადს ზაჰესკომი კისრულობს და ამიტომ ფასების კალკულიაციისათვის გადასახადები არ უნდა იქნას ნავარაუდევი.

განცხადებას უნდა დაერთოს ქვითარი ზაჰესკომის სალაროში საწინდრათ განცხადებულ ფასის 5 პროც. შეტანის შესახებ.

უძრავი ქონება და სხვ. საწინდრათ არ მიიღება.

საწინდარის წინასწარ შეტანისაგან განთავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ორგანოები და რეგისტრაციაში გატარებული მუშათა არტელები.

იჯარის შესრულების დაწერილებითი პირობების, ნახაზების და აგრეთვე ტექნიკური პირობების გაცნობა შეიძლება ზაჰესკომის ტექნიკურ განყოფილებაში, ოთახი № 11, ყოველ დღე 10 საათიდან 12-მდე (ქ. თბილისი, ლ. დუმბაძის ქ. № 3). იქვე მიიღება განცხადებებისათვის დაწესებული ფორმის ბლანკები.

2—2 1627 სამუშაოთა უფროსი ინჟენერი ჰეჰინაძე.

ქალაქის ლომბარდი

დღეს

აუქციონია

გაიყიდება ვადაგასული ნივთები დარბაზში № 1-ში. დასაწყისი დილის 11 საათზე, სასახლის ქ. № 3, ეზოში.

1632. 1—1

ქ. თბილისის მე-4 რაიონის სასამართლო აღმასრულებელი გავსოვიჩი

ამით აცხადებს, რომ 25 აგვისტოსათვის დილის 9 საათზე, 19 თებერვლის ქუჩაზე № 75, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა არუსტამ, იგივე არუთიუნ არუთიუნოვის და სარქის შახგელიანცის კუთვნილ ახალ ფურგონის გასასყიდათ. ფურგონი აწერილია გიორგი ტრაპაიძის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად ქ. თბილისის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლის 30 ივნისის № 2739 ძალით. ფურგონი შეფასებულია 138 მანეთად.

2844. 1—1

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

ამით აცხადებს

სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებების საყურადღებოთ

რომ განათლების კომისარიატის კოლეგიის დადგენილების თანახმად პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს

ყველა მაღაზიები

ამა თვის 8-დან გადავიდა სახელმწიფო გამომცემლობის განკარგულებაში,

რისთვისაც ყოველ შეკვეთისა და საქმის დროს უნდა მიმართონ სახელმწიფო გამომცემლობის მაღაზიებს შემდეგ ადგილებში:

მაღაზია № 1 ცენტრალური საბითუმო და ნაჭრობითი ვაჭრობა, რუსთაველის 22, ტელეფონი 3—89.
„—“ № 2 პლეხანოვის № 98, ტელეფონი 21—11.
„—“ № 3 კახეთის მოედანი № 1, ტელეფონი 18—72.
„—“ № 4 თავისუფლების მოედანი № 3, ტელეფონი 12—71.
„—“ № 5 სადგურისა და გოგოლის ქუჩის კუთხე.

განყოფილებები:

ბათომში—მესამე ინტერნაციონალის ქუჩა № 22. ტელ. № 1; სენაკში რუსთაველის ქუჩა.

ნის. 1624—3—2 სახელმწიფო გამომცემლობის გამგეობა.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
სხივებით რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდების ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
9205 25—1

მათემატიკის მასწავლებელი ამზადებს
შემოდგომის გამოცდებისათვის უმაღლესს და საშუალო სასწავლებლებში შესასვლელად. აგრეთვე ასწორებს მოწაფეებს და მუშფაკელებს მატემატიკურ საგნებში. პლეხანოვის ქ. № 25 (ალექსის ქუჩიდან შესავალი № 5) 9—7 ს.
2287 3—2

ექიმი გ. გოლდშტეინი
იღებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე ნიკოლოზის ქ. 32. სათვალეების არჩევა და თვალებზე მორგება უფასოთ საქ. სახელმწიფო მედვაჭრობის განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი № 7, დღის 2—4 საათამდე. 25—14

ექიმი ალ. გ. მაღალაშვილი
ბავშთა სნეულებანი.
იღებს 2—4 ს. 5—7 ს. საღამ. ყორღანოვის ქ. № 12. 25—4 2153

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანისა და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).
25—3

ექიმი დ. ბ. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული
(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.
მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სართ. კირკის ქუჩის კუთხეში.
25—16

მანგლისი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან და ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. 25—9
ბალცების აგარაკი, ბაღის მახლობლად

წალვერი
მედიცინის დოქტორი ა. ა. [illegible]
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპურეს აგარაკს № 5 (კოოპერატივის მახლობლად).
25—17 1795

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).
ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.
25—20

ბორჯომი
ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფებს მიიღებს მისამართი: როზა ლიუქსემბურგის ქუჩა № 17 ზოსინის აგარაკი.
15 თიბათვიდან 15 ენკენისთვემდე
25—4

ექიმი ბ. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8, პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
25—18

ექიმი ი. დ. თოფურიძე
ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სქესო ორგანოთ ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—21

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.
ქალებისთვის 12—1 საათ.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—23

ექ. ა. ე. უზლანერ
ვენერიულ, კანის და შინაგანი ავადმყოფობანი. ლორის-მელიქოვის ქ. 4 ბინ. 1. პუშკინის ბაღის პირდაპირ. მიღება: დილის 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე.
25—4

ექიმმა შუხმანმა
განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში
საღამოს 6—8 საათამდე; ქალების დღის 2—8 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).
21—4

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა [illegible] ლოგიური [illegible] ლები. მიღება 12—4 საათამდე და 5—8 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).
25—20

ექიმი მ. ა. ლუკოვეც
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან 3 საათამდე.
სპიროვის ქუჩა № 36. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.
25—4

პროფესორი გ. მ. მუხამ
საზაფხულოთ გაემგზავრა ბორჯომში.
1960 25—11

ექიმი გ. გ. მეგრაბიან
ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურნალო კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
25—14

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ვასო სოლომონის ძე ქურხულის სახელზე. ჩ. გ. 2348 1—1

დაიკარგა სამთო-მადნო მუშათა კავშირის საწევრო წიგნაკი № 4 ალექსანდრე თედორეს ძე შენგელიას სახელზე. ჩ. გ. 2347 1—1

დაიკარგა ორდერი № 2587 სამობების სამართველოდან აღებული კომზაჰესის საჭიროებისთვის ჩ. გ. 2340 1—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 427258, პირადობის მოწმობა, სეზონის ბილეთი ისიდორე ოტიას ძე კალანდაძის სახელზე. ჩ. გ. 2345 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ვახტანგ ქარუმიძის სახელზე. ჩ. გ. 2346 1—1

რია ვოსტოკა“-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4